726ო 8188

ჯარისკაცი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 9 (241) გამოცემის მე-14 წელი

1970 წლის 8 მაისი

გამარჯვების მაისი

ქვეყანა ბედნიერი იყო. დედები აკვნებს არწევდნენ. მამები ხნავდნენ, თესავდნენ და მკიდნენ. ღონიერი მარჯვენით ჰედდნენ თოხსა და ბარს, ცულსა და წალდს.

ადამიანები აშენებდნენ სკოლებს, თეატრებს, სანატორიუმებს, აგებდნენ ხიდებსა და კაშხალებს, იბადებოდა ახალი სოფლები და ქალაქები.

ბალღები სწავლობდნენ დედაენასა და სხვათა ენას, სიმართლესა და პატიოსნებას, ერთიმეორის ერთგულებასა და მამულის სიყვარულს.

დედამიწა იყო მშვიდი და გულუხვი, მზე — თბილი და ალერსიანი.

ფიქრიც კი არავის უნდოდა ომზე და მაინც მზადდებოდა მსოფლიოს დაპყრობისა და ერებზე ბატონობის ფაშისტური გეგმა.

მერე შავმა სვასტიკებმა ჩამოაბნელეს ბედნიერი ქვეყნის ზეცა.

შემოიჭრა „მაღალი რასა“, მოდიოდნენ „სამხედრო მოდის“ უკანასკნელი სიტყვით. თვალის დახამხამებაში ანგრევდნენ წლობით ნაშენებ სახლებსა და სასახლეებს. გადაბუგეს სოფლები, მიწასთან გაასწორეს ქალაქები.

კაცობრიობა ეწირებოდა ომს, ასე უმოწყალოდ დაწყებულს იმათ მიერ, ვინც იჩემებდა განათლებას, ჭკუას, სწორ ფილოსოფიურ აზროვნებას.

მამულმა ქუდზე კაცს მოუხმო.

მშვიდობიან შრომას შეჩვეულმა ვაჟკაცებმა საბრძოლო იარაღები აიღეს ხელში და მტერს ეკვეთნენ.

აკვნებში უპატრონოდ დარჩნენ ჩვილები, ახლა მანდილოსნები იყვნენ გუთნის დედები. ქარხნებში ჰედდნენ შაშხანებსა და ყუმბარებს, აწყობდნენ ტანკებსა და თვითმფრინავებს, ქანცის გაწყვეტამდე მუშაობდნენ და მართალი იმედით ცხოვრობდნენ.

ყველა ოჯახი მოუთმენლად ელოდა ფრონტიდან სამკუთხა ბარათს. მილიონობით იწერებოდა ასეთი ჯარისკაცული ბარათები, მართალი, იმედიანი სტრიქონებით.

ომსა და ზურგში ადამიანები გამარჯვების იმედით სულდგმულობდნენ.

მათი საქმის სამართლიანობამ, მამულის სიყვარულმა დაბადა ეს გრძნობა, ამ გრძნობამ დაჯაბნა მტერი მოსკოვთან, სტალინგრადთან...

გარბოდნენ. მიიძურწებოდნენ საუთარი ხელით დანგრეული ქვეყნიდან და თავს ატყდებოდათ გაწამებულ ადამიანთა რისხვა, შურისძიება, — გაპარტახებული სახლკარისათვის, დაღუპულ ცოლ-შვილისათვის, ძმისათვის, მეგობრისათვის.

კეთილმა სძლია ბოროტს...

დადგა 9 მაისი, გამარჯვების და დიდების დღე. ჩვენი ძმებისა და მამების, საბჭოთა ჯარისკაცის სისხლით მოპოვებული ბედნიერების დღე.

გაზაფხულის თბილი და ალერსიანი მზე იცინოდა. შვებით სუნთქავდა ნაომარი, ნატანჯი დედამიწა.

შუბლი გახსნეს ადამიანებმა — რაიხსტაგზე წითელი დროშა ფრიალებდა, რუსი მისხეილ ეგოროვისა და ქართველი მელიტონ ქანთარიას მიერ გამარჯვებისა და ხალხთა მეგობრობის სიმბოლოდ აღმართული დროშა.

9 მაისი სევდანარევი სიხარულის ზეიმად დაგვეკვეთება.

მამები და შვილები, ძმები და მეგობრები, სამუდამოდ განისვენებენ კავკასიონთან, რუსეთისა და უკრაინის ველებზე, ყირიმსა და კარპატებში, უცხოეთის მიწაზე. განისვენებენ ძმათა სასაფლაოებზე, ასე მრავლად რომ დაგვიტოვა ომმა.

ბევრი დედა ახლაც გასცქერის ჭიშკარს შავი მანდილივით თვალჩაღამებული და გული უკვნესის — შინმოუსველელო, სადა ხარ?

წლებმა ვერ იქნა და ვერ გააქარწყლა ეს სევდა.


ხვალ ვზეიმობთ ომის დამარცხებისა და მშვიდობის გამარჯვების, ბოროტზე კეთილის ძლევის ოცდახუთი წლისთავს.

დედამიწა კვლავ მშვიდია და გულუხვი. მამები ხნავენ, თესავენ და მკიან, ღონიერი მარჯვენით ჰედენ თოხსა და ბარს, ცულსა და წალდს, დედები აკვნებს არწევენ.

ბალღები სწავლობენ დედაენას და სხვათა ენას. სიმართლესა და პატიოსნებას, ერთიმეორის ერთგულებასა და მამულის სიყვარულს.

სწავლობენ მშვიდობის ფასსა და აუცილებლობას, ვერაფერი რომ ვერ შეედრება ამქვეყნად.

ბედნიერია ქვეყანა.





პირველი მაისი!

გაზაფხულისა და სიცოცხლის, სილამაზისა და მშვენიერების მზიანი დღესასწაული.

პირველი მაისი!

მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის, შრომის, თავისუფლების, ბედნიერების, მეგობრობის, მშვიდობის სიმბოლო.

განსაკუთრებული აღმავლობით აღნიშნეს საქართველოს მშრომელებმა წლეულს ეს დიდი დღესასწაული. ქუჩებსა და პროსპექტებზე მოზღვავდა წითელი დროშები, ათასფერი ყვავილები, სიცილი, სიხარული...

რესპუბლიკის დღესასწაულის ცენტრი — რუსთაველის გამზირი. მთავრობის სასახლეზე ამაყად გაშლილა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. ტრიბუნის წინ მოდიან მოსწავლეები, სტუდენტები, მშრომელები, მეცნიერები, მსახიობები, მთელი ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლები. მოდიან სახენათელი ახალგაზრდები, გულმხიარულნი, მუხლმაგარნი, მოდიან და ღიმილი დასთამაშებთ სახეზე.

დაე, ასე ბედნიერი ყოფილიყვნენ მარადის, არასოდეს მოშლოდეთ მშვიდობა და სიხარული, არასოდეს ჩაჭრობოდეთ ჩახჩახა მზე!

სურათებზე: მარცხნივ — ბერლინი, 1945 წლის 1 მაისის დილა. საბჭოთა მებრძოლები მელიტონ ქანთარია და მიხეილ ეგოროვი გამარჯვების დროშას აღმართავენ რაიხსტაგზე. მარჯვნივ — წლევანდელი საპირველმაისო დემონსტრაცია რუსთაველის გამზირზე.

ჩვენი პრესა

5 მაისს საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის ზეიმია — მართალი პრესის დღესასწაული.

ამ პრესას თავისი სახელოვანი ისტორია აქვს. არის და მარად დარჩება სიმართლისა და ხალხურობის პრინციპებას ერთგულებისათვის მებრძოლი.

ეს პრესა მილიონთა ტრიბუნაა, საზოგადოებრივი აზრის სარკეა. ხალხის ინტერესებს ემსახურება, ხელს უწყობს მათი კეთილი მიზნებისა და ოცნებების განხორციელებას. ადამიანების მუდმივი თანამგზავრია შრომის, ბრძოლის, ცხოვრების გზაზე.

პრესა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ტრიალებს და შას სულიერ მეგობრად ვთვლით.

საქართველოში მრავალი დასახელების ყურნალი და ალმანახი, ასეულობით ფართო თუ მცირეფორმატიანი გაზეთი გამოდის, რომელთა ტირაჟი 4 მილიონს აღემატება.

ადამიანები მოუთმენლად ელიან საყვარელი ორგანოს თითოეულ ნომერს.

ყოველდღიურად იზრდება ყურნალ-გაზეთების ავტორთა რიცხვი. მდიდრდება სარედაქციო ფოსტა, რაც იმას მოწმობს, რომ ადამიანებს სწამთ პრესის ყოვლისშემძლე ძალა. მას ხშირად მიმართავენ თხოვნით, წინადადებით. თავიანთ აზრს გამოთქვამენ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო ცხოვრებაზე და ეს არის სწორედ პრესის მასებთან კავშირი.

მეკავშირეებად კი გვევლინებიან ყურნალისტები, საყოველთაო პატივითა და ღირსებით მოსილი ადამიანები.


ისინი თვალისჩინივით უფრთხილდებიან თავიანთ სახელს, არიან გულმართალნი და პატიოსნები, აქვთ შესანიშნავი პოლიტიკური ცოდნა და პროფესიული ოსტატობა.

ქართველი ყურნალისტები რომ იმსახურებენ საერთო ყურადღებასა და ზრუნვას, ამის მკაფიო გამოხატულებაა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 4 ივლისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ყურნალისტის წოდების დაწესების შესახებ“.

ეს ბრძანებულება კიდევ ერთხელ ავალებს ყურნალისტებს:

იყვნენ მართალნი და პრინციპულნი, ყურადღებიანნი ადამიანებისადმი, საქმისადმი. იმუშაონ ზედმეტი ხმაურისა და აურზაურის გარეშე, პატიოსნად აკეთონ საერთო სახალხო საქმე, რომ ჩვენი პრესა ყოველთვის დარჩეს კაცობრიობის ნათელი იდეალებისათვის მებრძოლად.

ალალი იყოს!



ამშინ ახალბედა იყო. თბილისის წყალსადენში დაიწყო მუშაობა. ოთხიოდე წლის შემდეგ კი მთავარ ინჟინრად დანიშნეს იქვე.

ქალაქი უნდა უზრუნველეყო სასმელი წყლით — ეს იყო მთავარი ინჟინრის უპირველესი ამოცანა.

ერთმანეთს მიჰყვებოდნენ დღეები, წლები... ბევრმა წყალმაც ჩაიარა.

თანდათან იკვეთებოდა ახალგაზრდა ინჟინრის ტექნიკური ნიჭი, შემოქმედებითი უნარი. მისი წინადადებით დაინერგა ბევრი სიახლე ქალაქისა და სოფლის წყალმომარაგების საკითხებში.

აშენდა ახალი წყალსადენები.

შემცირდა სასმელი წყლის დანაკარგი.

შეიქმნა წყალსადენის სადგურების ავტომატიზაციისა და ტელემართვის სისტემა.

ნიკოლოზ სუხიაშვილის პროექტით დაინერგა მიწისქვეშა წყლების ხელოვნური გამდიდრების მეთოდი. ეს ტექნიკურად რთული ამოცანა მან ორიგინალურად და ამასთან უბრალოდ, ეკონომიურად მომგებიანად გადაწყვიტა.

მისი წინადადებების განხორციელებით დაიზოგა 1 მილიონ 200 ათასი მანეთი.

ქართველ ინჟინერს ხშირად სთხოვენ დახმარებას უცხოეთშიც.

ათიოდე წლის წინათ ჩეხოსლოვაკიაში მიიწვიეს, იქაურმა სპეციალისტებმა გაიზიარეს მისი მითითებანი და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მერე მრავალი გულწრფელი მადლობა მიიღო ჩეხოსლოვაკიის როგორც კერძო, ისე ოფიციალური პირებისაგან.

სიკეთესა და გულწრფელობაში, უბრალოებასა და ერთგულებაში ბადალი არა ჰყავს ბატონ ნიკოლოზს.

ზედმიწევნით პატიოსანი და პირდაპირი, შრომისმოყვარე, სხვებისგანაც ამასვე მოითხოვს.

სამი ქალიშვილისა და ოთხი შვილიშვილის კაპას, გვერდს ღირსეული მეუღლე უმშვენებს. ქალბატონი ვასილისა, ცნობილი ქუთაისელი ექიმის დიომიდე ფანცხავას ქალიშვილი, პირველი ქართველი ინჟინერ-პოლკოვნიკი ქალია, რომელიც დიდხანს მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის სავაგონო სამსახურის უფროსად. ტექნიკის სიყვარული შვილებსაც დაჰყვათ—სამივე ქალიშვილი ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატია.

როდესაც ბატონ ნიკოლოზის დაბადების 65 და მოღვაწეობის 40 წლისთავი აღინიშნა, მის სახელზე მრავალი დეპეშა მოვიდა საზღვარგარეთიდანაც.

ძალზე მრავალფეროვანია ამ მოლოცვათა გეოგრაფია—ბრიუსელი, მარსელო, ბარსელონა, კოპენჰაგენი, ლონდონი, პარიზი, ამსტერდამი, მადრიდი, მიუნხენი, ვარშავა, კორნვალისი და სხვა ქალაქები. ადრესებს ხელს აწერენ წყალმომარაგების საერთაშორისო ასოციაციის სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის პრეზიდენტი ვებერი, ვიცე-პრეზიდენტები ფრედ მერიფილდი და ბიემონდი, გენერალური მდივნები მილისი და დეკრუა, პოლონეთის სანიტარული ტექნიკის ინჟინერთა ასოციაციის პრეზიდენტი იანჩევსკი და სხვები.

„ნიკოლოზ სუხიაშვილთან მრავალრიცხოვანი შეხვედრისას მუდამ მაოცებს მისი მახვილი გონება და ფრიად ღრმა ცოდნა. იგი უეჭველად დიდი პიროვნებაა წყალმომარაგების სამეცნიერო და ტექნიკურ სფეროში. იუბილესთან დაკავშირებით ფრანგი მეგობრები მას საფრანგეთში ვიწვევთ, რათა გვქონდეს ბედნიერება აქ ხელმეორედ გადავუხადოთ მას ფრანგული იუბილე“,— იწერება პარიზიდან საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, წყალთა გამოყენებისა და გაწმენდის სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი, გენერალური დირექტორი გრმელა.

„თქვენს პიროვნებაში ადამიანის საუკეთესო ღირსებანი საუცხოოდ შერწყმიან მეცნიერულ და ტექნიკურ ცოდნას. გულწრფელ მადლობას გიძღვნით ბატონო სუხიაშვილო, რომ პატივი დამდეთ და თქვენი მეგობრობის ღირსი გამხადეთ“. — ვკითხულობთ მადრიდიდან გამოგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერს წყალმომარაგების საერთაშორისო ასოციაციის ესპანეთის კომიტეტის პრეზიდენტი ფლორენტინო ბრიონესი.

„მინდა ერთხელ კიდევ გავიხსენო ის დახმარება, რომელიც თქვენ გამიწიეთ ძალზე ძნელი ამოცანის გადასაჭრელად. ოზონირების საკითხი, ასე რთული და ამავე დროს ძალზე სასარგებლო, თქვენ გადაწყვიტეთ მარტივად, მაღალ მეცნიერულ და ტექნიკურ დონეზე. შრომა, რომელიც გამომიგზავნეთ, არის ერთ-ერთი საუკეთესო, ნათელი და გასაგები, რაც კი ტექნიკის ამ სფეროში ოდესმე დაწერილა. იგი მთავარი სახელმძღვანელო იყო ჩემთვის“—პარიზიდან მიღებული წერილის ავტორია წყალმომარაგების გენერალური კომპანიის ახალ სამუშაოთა სამსახურის მთავარი ინჟინერი და უფროსი ჟან ალოპო.

ნიკოლოზ სუხიაშვილი, დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილეა. 1958 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის მუდმივი დელეგაციის წევრი წყალმომარაგების საერთაშორისო ასოციაციაში. მონაწილეობა მიუღია ოთხ საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში — ბრიუსელში, სტოკჰოლმში, ბარსელონაში, ვენაში.

... ჩვენში ერთი კარგი ტრადიცია არსებობს: კაცი რომ წყაროს გამოიყვანს სოფელში, მის სახელს არქმევენ და შვილთაშვილებს გადასცემენ კეთილი კაცის ამბავს. თუ ბატონ ნიკოლოზსაც ამ ტრადიციით მივუდგებით, ძალზე ბევრი ქალაქისა თუ სოფლის მაცოცხლებელი წყლისათვის მოგვიხდება მისი სახელის დარქმევა.

ცხელი ზაფხული იცის თბილისში.

ონკანს გააღებ და ცივი წყალი შხუილით გადმოდინდება. დალევ და გულზე მოგეშვება, თაკარა მ საც სიმხურვალე მოაკლდება თით ქოს. დაილოცოს შენი მომყვანიო, იტყვი შოგჯერ და იქნება არც კი იცი, რომ ნიკოლოზ სუხიაშვილსაც ეკუთვნის ეს ლოცვა.

ალალი იყოს თქვენზე, კეთილო კაცო...

ლია მიქაძე

სურათზე: ფლორენტინო ბრიონესი, პროფესორი ხოზე ანტონიო ლინატი ბოში და ნიკოლოზ სუხიაშვილი სტოკჰოლმში.

რჩეულნი

უკვე ორი კვირაა ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, იმართება ხალხმრავალი კრებები, სადაც ასახელებენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს.

ასახელებენ მათ, ვინც თავის ცოდნასა და ენერგიას ახმარს ჩვენი ძლიერების განმტკიცებას, ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, ვინც თავი გამოიჩინა ხალხისადმი უანგარო სამსახურით, მატერიალური დოვლათის შექმნით.

ქვეყანას სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის დასახელებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ბრეჟნევი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალექსი კოსიგინი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რევაზ ფრუიძე, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი და მრთველი მერი ტატუროშვილი, მევენახე ეკატერინე გოგობერიშვილი და მკერავი მედეა ვახტანგაძე, მჭედელი ლამარა ბანეთაშვილი და შეფოლადე მისხელ სპანდარაშვილი, აკადემიკოსი ილია ვეკუა და ტრაქტორისტი ნოდარ მამუკაშვილი.

საარჩევნო კამპანიის ერთერთი მნიშვნელოვანი ეტაპი — დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება გრძელდება.

ივნისში კი მშრომელები ხმას მისცემენ თავიანთ რჩეულთა.

„ძველი თბილისი“

თბილისის სუვენირების პოლიგრაფიულმა ლაბორატორიამ გამოსცა მისელ ხუბაშვილის სურათების ალბომ-სუვენირი—„ძველი თბილისი“. მხატვარს ოსტატურად, მაღალ დონეზე შეუსრულებია ძველი თბილისის ყოფის ამსახველი ეპიზოდები. საყურადღებოა ნამუშევრები „მეარღნე“, „ძველი თბილისელი მოქალაქე“, „თაბახიანი კინტო“, „მენახშირე“, „ყარაჩოღელი ყოჩით“, „მაჭანკალი“ და სხვა.

სუვენირის ყდას და სურათებს ერთვის წარწერა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ქართული სიმღერის გამარჯვება

შუშუაძი მუსიკის მოყვარულნი კარგად იცნობენ ქართველი კომპოზიტორის შოთა მილორავას სიმღერებს. რამდენიმე დღის წინათ ჟურიმ შეაჯამა საუკეთესო სიმღერებისა და საგუნდო ნაწარმოების საკავშირო კონკურსის შედეგები. ჟურიმ სულ განიხილა 600-ზე მეტი ნიმუში და გამოავლინა გამარჯვებულები. კონკურსში გაიმარჯვა შოთა მილორავას „საზეიმო სიმღერამ“, რომელმაც II საკავშირო პრემია მოიპოვა. იგი დაწერილია პოეტ მორის ფოცხიშვილის ლექსის სიტყვებზე და გათვალისწინებულია ვაჟთა გუნდისათვის.

სანავარდო

ოდითგან შერჩენია სამტრედიის გარეუბანს ეს სახელი.

სახელი ძველია და იმას მიგვანიშნებს, უწინ აქ, მალარიით გაუღენთილ ჭაობებსა და მიუვალ, ეკალ-ბარდით დაფარულ მინდორზე, მხოლოდ ქარი და ტურა-მგლები დანავარდობდნენო.

დღეს კი კოინდრით აბიბინებულ კოპწია ეზოებს, რიგებად ჩამწკრივებულ ვაშლის, მსხლისა და ატმის ხეებს, ორსართულიან სახლებსა და სტუმრის შესახვედრად ხალვათი ღიმილით გამოსულ მასპინძელს თუ შეავლებ თვალს, დარწმუნდები, რომ აქაურობა ახლა სიკეთის, ღიმილისა და სიცოცხლის სანავარდოა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე თამარ თავაძეც ღიმილით მოგვეგება.

ბევრი რამ მსმენოდა ამ გამჭრიახ, შრომისმოყვარე მანდილოსანზე, ვაუკაცური სიჩაუქით რომ თავკაცობს კოლმეურნეობას.

კოლმეურნეობა პატარააო, მითხრა მან, სულ 220 კომლს ვითვლითო. პატარაა, მაგრამ მრავალდარგოვანია და საკმაოდ შეძლებულიცო.

მესიმინდეობას ჩვენს სოფელში ძველთაგანვე მისდევდნენ. შემოდგომაზე სანავარდოელები ჰექტარიდან საშუალოდ 35-40 ცენტნერ მარცვალს იღებენ. მაღალპროდუქტიულია მეცხოველეობის ფერმა, დიდ შემოსავალს იძლევა მებოსტნეობაცო. მუშაკაცის მზრუნველი ხელი ატყვია თითოეულ გოჯ მიწას.

მაგრამ რას აძლევს კოლმეურნეობა მის წევრებს?

ერთი შრომადღის ფულადი ანაზღაურება შარშან შვიდი მანეთი და 50 კაპიკი იყო. ამის გარდა კოლმეურნეებმა თითოეულ შრომადღეზე დაშატებით მიიღეს შრომის ნატურალური ანაზღაურება—10-12 კილოგრამი სიმინდის მარცვალი, სხვადასხვა ბოსტნეული. ყოველივე ამას დაუმატეთ წლიური პრემია — მთლიანი შემოსავლის 10-15 პროცენტი. ყოველ კოლმეურნეს შეუძლია გამოიმუშაოს იმდენი დღე, რამდენიც არის წელიწადში, ზოგიერთი კი მეტსაც აღწევს. მაგალითად, ტრაქტორისტმა ვლადიმერ გრიგოლიამ, მებოსტნეებმა ლილი ქართველიშვილმა, ნიკოლოზ უგრეხელიძემ, ლუბა თავაძემ, მძღოლმა გიორგი ჯიმშელეიშვილმა, მწველავმა ბაბილინა ჯიქიამ და სხვებმა შარშან 400-450 შრომადღე გამოიმუშავეს. თითოეულმა მათგანმა შესაბამისად წლიური შრომის ანაზღაურების სახით 4 000-4500 მანეთი მიიღო.

— ისიც უნდა გავითვალისწინოთ, — ამბობს თავმჯდომარე, — რომ ბევრ ოჯახში ორი-სამი შრომისუნარიანი წევრია, ხოლო ყოველ ოჯახს, გარდა კოლმეურნეობიდან მიღებული შემოსავლისა, აქვს კიდევ შემოსავლის საკუთარი, მეტად მნიშვნელოვანი წყარო — საკარმიდამო ნაკვეთი თავისი ვენახით, ხილითა და ბოსტნეულით, ჰყავს პირუტყვი, ფრინველი და სხვა.

მაგრამ რისი ყიდვა შეიძლება ამ ფულით? ეს კითხვა ჩემს თავს უფრო დავუსვი და იქვე შევუდექი ანგარიშს. მარტო კოლმეურნეობიდან მიღებული წლიური ფულადი შემოსავლით, ესე იგი 4 000—4500 მანეთით კაცმა შეიძლება იყიდოს: 25 ცალი სარეცხი მანქანა მექანიკური საშრობით, ან ამდენივე მამაკაცის უმაღლესი ხარისხის პალტო და კოსტიუმი, ან 12-15 ცალი საუკეთესო ტელევიზორი, 20 ცალი უახლესი მარკის მაგნიტოფონი და ორი ამდენი ტრანზისტორი, 4-5 ოთახის გარნიტური სამზარეულოს ავეჯით, 8-10 პიანინო და ასე შემდეგ...

— რას ანგარიშობთ?—ჩამეკითხა კოლმეურნეობის მძღოლი გიორგი ჯიმშელეიშვილი.

ვუთხარი, შენი წლიური შემოსავლის ყიდვითი უნარიანობა მაინტერესებს-მეთქი.

მან საქმიანად გადაათვალიერა ჩემი უბის წიგნაკი: ჩვენში ერთ ოჯახსაც ვერ ნახავთ, მანდ ჩამოთვლილი ნივთები რომ არ ჰქონდესო. პირადად მე წლეულს მსუბუქი ავტომანქანის შეძენას ვაპირებ, ბევრმა ჩემმა მეზობელმა ეს სურვილიც აისრულაო.

... საღამოხანს გამოვეთხოვე ყვავილებში ჩაჯდარ სოფელს. თუმცა სოფელსაც ვერ უწოდებ ძველ სანავარდოს, იმდენად შერწყმია და შესისხლხორცებია იგი ქალაქ სამტრედიას.

დავით ასკურავა,
სოფელი სანავარდო



ამოვაჯალი მზის ქვეყანაში

„მექსიკო-70-ზე“, საბჭოთა კავშირის პავილიონის ერთ-ერთ სექციაში, სადაც ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი, ყურადღებას იპყრობს ინტერიერის გაფორმება — ჰედური პანო. მისი ავტორია ცნობილი ქართველი ხელოვანი ირაკლი ოჩიაური, რომელმაც ძალზე მოკლე დროში შეასრულა საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს ეს პასუხსაგები საპატიო დაკვეთა.

ათნახევარი მეტრი სიგრძე აქვს ამ ჰედურობას, მეტრნახევარი სიმაღლე. ფაფარაყრილი წითელი რაშები, თვალისმომჭრელად ბრჭყვიალა მზე რომ მოუტაციათ, მიქრიან ფართო შავკონტურიან მომწვანო-მოყავისფრო ფონზე. ძალზე ნათელი, მაქსიმალურად მჟღერი ეს ნაწარმოები შორიდანვე იტაცებს თვალს და დამთვალიერებელს აიძულებს დიდხანს იყოს მის ტყვეობაში. „მზის მოტაცება“, ამბობს შემოქმედი, კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებამ“ შთამაგონა.

სილამაზე, ძალა, სწრაფვა, გამბედაობა, წინსვლის დაუოკებელი სურვილი — აი რა გრძნობა გიპყრობთ, როცა უყურებთ ხელოვნების ამ მშვენიერ ქმნილებას.

იწვიან და ფვავენ...

ქიტონში ტვიფრავდნენ ეროვნულ სულს ჩვენი წინაპრები.

ნიკორწმინდის, ბაგრატის, ზარზმის, სვეტიცხოვლის შემქმნელები ქვაში კირავდნენ თავიანთ სიყვარულს მშობელი ერისადმი.

ოქროში ჰედდნენ მამულის ტრფობას ბეჭა და ბემჭენ ოპიზრები.

სიტყვამი აქსოვდა ქართული ჩუქურთმის სილბოსა და სიმტკიცეს რუსთაველი.

საუკუნეთა სიღრმეებიდან მოდის ჩუქურთმის მადღი და ემხი, დროებით რომ მინელდა ძნელბედითობის ჟამს.

დღეს კი...

მინავლებული ცეცხლი გამოჩხრიკეს და ხელმეორედ ააგუზგუზეს მამაპაპისეული ბუხარი ქართველმა ხელოვანებმა. აღადგინეს უძველესი ტრადიცია.

ოქრომჭედელ კარლო ქუთათელაძეს თავის „დედაენად“ მრავალსახა ჩუქურთმა, ქართული ორნამენტი გაუხდია. ნავლი გადაუწმიხდავს ქართული მინანქრისათვის და ხელშესახებად წარმოუჩინებია...

„ველური ყვავილებით მოოჭვილ ტაფობს“ მოგვაგონებს საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის ის ოთახი, სადაც ოქრომჭედელ კარლო ქუთათელაძის ნამუშევრები არის გამოფენილი.

ხელოვანს მარჯვენით უკვერია აზარფეშები და ყანწები, „ვეფხისტყაოსნის“ ბუდეები და სალამურები, ვერცხლის სურები და ფიალები.

ოცი წლის ნაფიქრისა და ნააზრევისათვის მოუყრია აქ თავი.

ოც წელიწადს ჭრიდა კარლო ქუთათელაძე ჩუქურთმებს ძვირფას ლითონზე, ოქროს ზარნიშით, მინანქრით ამკობდა ვერცხლის ლარნაკებსა და თასებს.

ჩუქურთმებში ჩაქსოვილ მედალიონებზე ტვიფრავდა ვაზის მტევნებსა და ფურცლებს, შვლებსა და ირმებს...

ფოლადის პუანკარებით ხატავდა მოთა რუსთაველის პორტრეტს სპილენძზე, თამარის სახეს ვერცხლზე. უდიდესი სინატიფით გამოჰყავდა სასმისის ყუნწი, ცვრით ნამავდა გულსაბნევებსა და სამაჯურებს, ყელსაბამებსა და გულქანდებს...

მარტო საკუთარი გულისთქმით როდი კმაყოფილდებოდა. ეცნობოდა ერის სულიერ საგანძურს; სწავლობდა ქვაში და ლითონში ამოკვეთილი ჩუქურთმის ენას, ქართულ ხალხურ ორნამენტს...

ყოველი მისი ქმნილება შინაგანი ღრმა ლირიკით არის სავსე: გედისყელიანი სურები და ვერცხლისვადიანი ხმალი, ჩიბუხი და სათუთუნე, ბეჭდები და საყურეები, სამურაბე და ხილის ლარნაკები...

„თითქოს დიდი სიმფონიური მუსიკა მოვისმინე... თოვლის ფიფქზე უფრო მსუბუქი და ცამდე აზიდული...“ — წერს შთაბეჭდილების წიგნში პედაგოგი გელა კაკიტაძე.

„თქვენს შესანიშნავ ჰედურ ხელოვნებაში აღდგა მიმქრალი შარავანდედი ქართველ მხატვართა, რომლებიც ცივ ლითონში ცდილობდნენ ქართველთ გულის სითბოს ჩაქსოვას“. — აღფრთოვანებას ვერ მალავს დამთვალიერებელი ნინო ბაგრატიონი.

ქუთათელაძის ნამუშევრებმა მარტო ქართველს კი არა, ბევრ უცხოელსაც წარსტაცა თვალი. ისინი ხომ არაერთხელ იყო ექსპონირებული საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებზე: მოსკოვში, ლენინგრადში, მინსკში, ლაიფციგში, ნიუ-იორკში, ვენაში, იზმირში, პარიზში, ტოკიოში...

მისი ნახელავი — ქართული ორნამენტებით დამშვენებული ვერცხლის ყანწი ერნსტ ჰემინგუეის სასთუმალთან ჰკიდია მეგობრობის ნიშნად. მასზე სათუთად არის ნატვიფრი ფრაგმენტები ჰემინგუეის ნაწარმოებიდან „მოხუცი და ზღვა“ და მოთას „ვეფხისტყაოსნიდან“.

... და კვლავ ცოცხლდება ფერადი ლითონი.

ოქროსა და ვერცხლის უნაზეს ხვეულებში ათასფრად ციალებს ამეთვისტო, მარგალიტი, მინანქარი, ლალი, ფირუზი, საფირონი...

ოქრომჭედელს შინ ვეწვიეთ. მანქანამ თბილისის ზღვისაკენ აიღო გეზი.

თბილისის თავზე უცხოვრია.

წერონისის ქუჩაზე, 166-ე სახლთან შევჩერდით.

ყური მივუგდეთ.

კვერის ხმა აღწევდა ჩვენამდე.

შინ იყო ოქრომჭედელი, სახელოსნოში მუშაობდა.

საუბარი მალე აეწყო.

— ღამღამობით ვმუშაობ. მიყვარს ღამის მდუმარება, სიწყნარე... როცა ვიღლები და არ გამომდის, გარეთ გამოვალ, სუფთა ჰაერზე ცოტა ხანს დავყოფ ხოლმე... ჰო, მართლა, აქედან არაჩვეულებრივი ხედი იშლება, წამობრძანდით, გიჩვენებთ...

თვალწინ მართლაც დიდებული სანახაობა გადაიშალა: თითქოს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ძირს, დედამიწაზე დაუსვენებიათო. მორეულ ლანდებს — ნარიყალას, მეტეხს, გორგასალს უხვი სინათლე ეფრქვეოდა. ქვევით კი მტკვარი მიაჭენებდა თავის ლურჯა ცხენებს...

განა შეიძლება ამას უჭვრეტდეს კაცი ყოველდღე და თანაც, თუ განგებას ღვთიური ნიჭი უბოძებია, არ ამღერდეს!

თითქოს გუმანს მიმიხვდაო, ისე გააგრძელა ჩემი ფიქრი ოქრომჭედელმა.

გაიხსენა მამა, მისი საზეინკლო, სადაც პატარობისას ხშირად ჩხირკედლაობდა და სპილენძის ფირფიტებს „სახატავად“ ეტანებოდა.

მაშინ ხომ იდუმალ გრძნობდა თავის მოწოდებას.

მერე სამხატვრო სასწავლებელი...

ოსტატ გიორგი ხანდამაშვილის გაკვეთილები...

მერე კი ძიება დაუსრულებელი.

ფესვმაგარი აღმოჩნდა ეროვნული ტრადიცია: კარლოსთან ერთად მისმა უმცროსმა ძმებმა — ჯემალმა, ავთანდილმა, რობინზონმა მხრებზე დაიდგეს ხელოვნების უღელი.

ძმები ქუთათელაძეები აგრძელებენ ღირსეულ მემკვიდრეობას.

თვითონაც იწვიან და ლითონსაც წვავენ.

ნაზი შამანაური





„ლიქიორის სერვიზი“ — სურა, ლანგარი და ექვსი ფიალა.

კარლო ქუთათელაძე თავის სახელოსნოში.

მრავალსახეობა რაინდისა



„და ეს დღეები ისე მიქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“...

მიქრიან და უტოლდებიან თვეებს, წლებს, საუკუნეებს...

აკაკი ხორავასათვის 75 წელს გაუტოლდა.

75 წელიწადი ცოტა როდია. ამიტომ არის, სიხარულთან ერთად ფარული სევდაც რომ გიპყრობს ადამიანს, სევდა განვლილი დღეებისა თუ წლების გამო — იქნებ უველაფერი ვერ მოვასწარი, იქნებ ჯერ კიდევ ბევრი მაქვსო უთქმელი. სწორედ ასე გვითხრა ორიოდე დღის წინათ დიდმა მსახიობმა ტელევიზიით — მე ის მაწუხებს მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ბევრი მინდოდა გამეკეთებინა და ავადმყოფობა მომერიაო.

ბევრი მინდოდაო კიდევ?

განა ის, რაც აკაკი ხორავამ გააკეთა, საკმარისი არ არის, რომ მადლობით განიმსჭვალო ამ დიდი ხელოვანისადმი?

განა მის სახელთან არ არის დაკავშირებული თეატრალური ინსტიტუტის დაარსება, სადაც დღემდე პროფესორად მუშაობს? ან განა მას არ უნდა ვუმადლოდეთ თეატრალური საზოგადოების არსებობას საქართველოში?

მას რომ ეთამაშა მხოლოდ ანზორი, საბრძოლოდ აზვირთებული ხალხის წინამძღოლი, მაინც წარუშლელ კვალს დატოვებდა მადლიერი მაყურებლის გულში.

რომ გაეცოცხლებინა მხოლოდ გიორგი საакაძე, ესეც ეყოფოდა უკვდავებისათვის.

ხორცი რომ შეესხა მხოლოდ არსენასათვის, ამ ლეგენდარული სახალხო გმირისათვის, რომელიც მან საოცარი, მხოლოდ ხორავასებური კოლორიტით გაათბო, ესეც მოუტანდა დიდებას.

ან კარლ მოორი, ტირანიისა და ბნელეთის წინააღმდეგ აზვირთებული.

ან ტარიელ გოლუა, სიტყვაბრძენი, დადინჯებული.

ან ბედისა და ღმერთების წინააღმდეგ ამხედრებული ოიდიპოსი.

ან დიდი ხელმწიფე, — ხელოვნების ისტორიაში დარჩებოდა როგორც უდიდესი ძალისა და მონუმენტური ნიჭის მსახიობი.

ხოლო ოტელო...

მისმა კეთილშობილმა მავრმა, ბალღივით გულღია და მიმნდობმა, გაარღვია ქართული თეატრის საზღვრები. ხორავას ოტელო მსოფლიოში სახელგანთქმულ ტრაგიკოსთა სცენური ქმნილებების გვერდით დადგა და მსოფლიო შექსპიროლოგიამ იგი ნამდვილ შექსპირულ სახედ აღიარა.

აკი კაჩალოვმაც უთხრა — თქვენი ოტელოსათვის თვით მიწამდე ვიხრიო თავს. ნემიროვიჩ-დანჩენკომ კი მისი ოტელო თეატრალურ მოვლენად ჩათვალა, „რომელზეც გინდა დაუსრულებლად ილაპარაკო და წერო“.

დაუსრულებლად შეიძლება ილაპარაკო და წერო ხორავას მრავალსახეობაზე — ბერსენევის, პლატონ კრეჩეტის, სკანდერბერგის, მეფე ლირისადა სხვათა შესახებ, მის ვაუკაცურ ხმაზე, საოცრად თბილსა და ხავერდოვანზე, მის ახოვანებაზე, მიმზიდველობაზე, მის საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

ხორავა სცენაზე — ეს არის უდიდესი ესთეტიკური ტკბობის წუთები, როცა სცენასა და მაყურებელს შორის აღმართული ხელოვნური ზღუდე ქრება, როდესაც მისი გმირის სიხარული მაყურებლის სიხარულად იქცევა, მისი გმინვა — ჩვენს ტანჯვად და მის თავზე დატეხილი უბედურება ცრემლს გვაფრქვევინებს.

ის არის ტრაგიკული ხასიათის ბუნების გახსნის იშვიათ საიდუმლოებათა მფლობელი.

მის შეუდარებელ ტალანტს უნდა ვუმადლოდეთ თეატრში გატარებულ დაუვიწყარ წუთებს.

მისი ხელოვნება ის სკოლაა. რომელმაც გვასწავლა სიყვარულის უსაზღვროება, ჰუმანიზმის, რაინდობის, მეგობრობის მაღალი იდეალები.

იგი ფუძე და ჭერია განახლებული ქართული თეატრისა, სული და გულია მისი.

დიდ მსახიობს თავისი დაბადების 75 წლისთავზე მხურვალედ მიესალმება გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია და დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას უსურვებს.

დიადი გამარჯვების ქართველი პარტიზანები იტალიაში

1967 წელს იტალიაში მაურო გალეონის ავტორობით გამოიცა წიგნი: „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის რიგებში“. იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუიჯი ლონგოს მიერ დაწერილ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ეს წიგნი დიდი, ძნელი და მღელვარე კვლევის ნაყოფია. საგანგებოდ დაწერილი მონოგრაფია საუკეთესო ძეგლია ხუთი ათასი საბჭოთა მოქალაქის ხსოვნისათვის, რომლებიც „წინააღმდეგობის რიგებში“ იტალიელ პარტიზანებთან ერთად ებრძოდნენ საერთო მტერს“.

1942 წელი. გერმანელებმა საბჭოთა ტყვეები იტალიის სხვადასხვა მხარეში გაანაწილეს სამხედრო მშენებლობებზე. ტყვეები მალე დაუახლოვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. მერე ბევრი მათივე დახმარებით ბანაკებიდან გაიქცა და, იტალიელ პარტიზანებთან ერთად ოკუპანტების საწინააღმდეგო მოძრაობაში ჩაება. მათ შორის იყვნენ ქართველები და ლეგენდარული ფორე მოსულიშვილიც, რომელსაც „სამშობლოს“ მკითხველი წლევანდელ მეოთხე ნომერში გაეცნო.

ეს წიგნი ჯერჯერობით არც რუსულ და არც ქართულ ენაზე არ თარგმნილა. ამიტომ მასში გაბნეული მასალები ფაშიზმის წინააღმდეგ ქართველი პარტიზანების გმირული ბრძოლის მატიანის კიდევ ერთი ახალი ფურცელია.

ჩვენ ვთხოვეთ ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს ბემან გიორგაძეს ეთარგმნა წიგნის ის ნაწილები, სადაც ლაპარაკია ქართველ პარტიზანებზე.



ფორე მოსულიშვილის მსხვერპლი

გრაველონას ბრძოლის შემდეგ პარტიზანები იცავდნენ „ოსოლის თავისუფალ რესპუბლიკას“. თითოეული მებრძოლის მოქმედება გმირობისა და სიმამაცის მაგალითი იყო, მაგრამ ფორე მოსულიშვილმა ყველა დაჩრდილა.

1944 წლის დეკემბრის პირველი რიცხვები. ვალოდოსოლასა და ვალსეზიაში ცხარე ბრძოლებია. გერმანელები ვერბანოს დაბლობზე ცეცხლს უშენენ პარტიზანებს. „გარიბალდელებმა“ 3 დეკემბერს მოახერხეს ალყიდან გასვლა. მათ იცავდა ედოს ოცეული. მტერი რიცხობრივად და შეიარაღებითაც გაცილებით სჭარბობდა პარტიზანებს, რომლებმაც ყველის ქარხანას შეაფარეს თავი. გერმანელების ბრძანებას, დაგვებედითო, პარტიზანებმა ცეცხლით უპასუხეს... მათთვის ყველის ქარხანა სასიკვდილო ხაფანგად გადაიქცა. ოცეულის ნახევარზე მეტი შეეწირა ბრძოლას. „გარიბალდელების“ ტყვიაწამალიც გამოელიათ და შეუძლებელი იყო მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა.

გერმანელებმა კვლავ გაიმეორეს ბრძანება, დაგვებედითო, და მოითხოვდნენ მეთაურის გაცემას.

მძიმედ დაჭრილი ფორე გოლიათური ტანით გადმოდგა კარებში. მე ვარ მეთაური, დაიძახა და თავი რევოლვერით მოიკლა.

იტალიელები აღტაცებაში მოვიდნენ ასეთი უმაგალითო გმირობით. 1945 წლის 10 აპრილს „პეპინოს“ ათასეულმა მოითხოვა ფორესათვის მიენიჭებინათ მემორიალური სამხედრო ღირებულების ჯილდო, იმიტომ რომ ფორე მოსულიშვილი იყო: „მამაცი მებრძოლი. პარტიზანული ბრძოლების მძიმე დღეებში პირველობდა პირველთა შორის. იყო პატიოსანი პატიოსანთა შორის. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი დაამტკიცა ჯარისკაცის და პარტიზანის მაღალი თვისებები. ჩვენი იდეალებისათვის მიცემული სიტყვის ერთგულება. მტრის ხელში ჩავარდნას სიკვდილი ამჯობინა. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: გაუმარჯოს პარტიზანებს!, გაუმარჯოს თავისუფლებას!“

მონოგრაფიაში მოთხრობილია სხვა ქართველი მეომრების წვლილზეც ფაშიზმისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეტყობა, ავტორი ბევრი ჩვენი თანამემამულის გვარს ვერ იხსენებს. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი გვარი დამახინჯებული იყოს. ამიტომ გთავაზობთ ნაწყვეტებს ისევე, როგორც მათ ავტორი გვაწვდის:

— დომოდოსოლას განთავისუფლების მიზნით „გარიბალდელებმა“ შეუტიეს მოწინააღმდეგის დაჯგუფებას და უკუაგდეს ფაშისტები. მტერს ფეხდაფეხ მისდევდა ქართული ათასეული. ამასობაში გერმანელებს მაშველი რაზმი მოუვიდათ, აამოქმედეს მძიმე არტილერია და ჯავშნოსნები, მაგრამ პარტიზანების შეტევა მაინც ვერაფრით შეაჩერეს, მათ ქალაქში შეაღწიეს და მოწინააღმდეგის მთავარ ბანაკს დაემუქრნენ. მერე დაიჭირეს გარეუბანი „სანტა-მარია“. ქართველმა კაპიტანმა ხელყუმბარით მოსპო გერმანელების ჯგუფი, რომელიც გზაჯვარედინს იცავდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ გზაზე მტრის ჯავშნოსანი გამოჩნდა. ქართველმა ვაჟკაცმა, რომელსაც გიორგის ეძახდნენ, ყუმბარებს ხელი სტაცა, სანგარში ჩახტა და მტრის მანქანას ცოცვით მიუახლოვდა. მერე მარჯვენა ღონივრად მოიქნია და ჯავშნოსანი ეკიპაჟიანად ააფრიალა ჰაერში.

• • •

„გარიბალდელთა“ ბრიგადაში 1944 წელს ორი ქართველი იბრძოდა — მიშა და შალიკო. მიშა ამბობდა ხოლმე, ჩემი სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვიყავიო. 1944 წლის 30 ნოემბერს ალბენის მთაზე ორივე გმირთა სიკვდილით დაეცა“.

• • •

„სუზა-კიზონეს“ ზონაში პარტიზანები ვალოდია გაბისონიას მეთაურობით იბრძოდნენ. 1944 წლის 20 ივლისს იერიში მიიტანეს სანანტონიოს სამხედრო საგუშაგოზე. ტყვედ ჩაიგდეს 168 ნაცისტი. ხელთ იგდეს 2 მძიმე ტყვიამფრქვევი, 16 ავტომატი, 1 ნაღმსატყორცნი.

• • •

...„1944 წლის 12 სექტემბერს პარტიზანების ჯგუფი საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაიგზავნა. მათ შორის იყვნენ ქართველებიც მიხეილ გამყრელიძე და კოლია რობაქიძე. როდესაც პარტიზანები რკინიგზას ნაღმავდნენ, გამოჩნდა გერმანელების ავტომანქანა. ატყდა სროლა. შეტაკებაში მოკლეს გერმანელი გენერალი, პოლკოვნიკი და ორი ოფიცერი“.

• • •

1944 წლის 18 სექტემბერს პარტიზანებმა კვლავ დანაღმეს რკინიგზა. იტალიელებს ახლდა ქართველი გრიშა პატაშური თავისი განუყრელი ტყვიამფრქვევით. დაბალი ტანის ჩასკვნილი ახალგაზრდა მოხერხებულობის, სიმშვიდისა და სიმამაცის განსახიერება იყო.

პარტიზანებს აქაც მოუხდათ გერმანელებთან შეტაკება. გრიშას სიმამაცე გაოცებას იწვევდა, ელვისებური ნახტომით ამოეფარა კედელს და ტყვიამფრქვევით ორი გერმანელი ოფიცერი გამოასალმა სიცოცხლეს“.

შინმოუსვლელთა სახელები

მაურო გალენი წერს: ქართველი მეომრები იყვნენ მაღლები, ტანადები და ღონივრები. მათ უმალ გამოიცნობდით ქართული ქუდითა და მხედრული გამომეტყველებითო.

ისინი ბევრნი ყოფილან. ომმა თავს ჯოჯოხეთურ ლაბირინთებში გაახვია და მრავალი ვაჟკაცის ვინაობა გადაკარგა. მაგრამ ბევრი შემოგვრჩა სახელიანი.

ამ წიგნიდან ვიგებთ, რომ იტალიის განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეეწირნენ ქართველი ვაჟკაცები: კაპიტანი ორაგველიძე, პარტიზანების მეთაური ჩაჩიბაია და მოადგილე პაოლო გვასალია, შოთა ნამჯაშვილი და გიორგი პოპიაშვილი, გიორგი გოგილიშვილი და ფირუზ ბაკოკაშვილი, ალექსანდრე კუპრეიშვილი და გუდა კიკვიძე, სულიკო ონაშვილი და ბოჩი აკობია, ვანელი შოთა მანმუკაშვილი და თბილისელი ნიკოლა გიორგაძე.

წიგნში „საბჭოთა პარტიზანები იტალიის წინააღმდეგობის რიგებში“ ჩვენს მამულიშვილებზე ბევრი გულთბილი სტრიქონებია.



თბილისი, საბჭოთა კავშირის გმირს

ვშვრი რამ ვიცი ამ ადამიანის შესახებ.

ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა.

მამული ასახელა.

დღეს ქართული მეცნიერების ტაძარში, თბილისის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს.

იმ მძიმე წლებში კი, როდესაც სამშობლოს ყველაზე მეტად უჭირდა, მფრინავი-გამანადგურებელი იყო და მტერს არ ახარებდა.

გერმანელების პირველი თვითმფრინავი ფსკოვში ჩამოაგდო. უკანასკნელი, ოცდამეშვიდე — ბერლინის თავზე. მაშინ უკვე საბჭოთა კავშირის გმირი იყო.

რვა ორდენის და ცამეტი მედლის კავალერია.

თითოეული ჯილდო გმირობის ეპიზოდია.

მრავალთაგან ერთი ეპიზოდი განსაკუთრებით აღელვებს. ეამაყება და უხარია მისი კარგი დასასრული.

• • •

მფრინავმა ღრუბლებიდან გამოიყვანა მანქანა. სივრცე მოათვალიერა და კურსი აეროდრომისაკენ აიღო.

ესკადრილიამ საბრძოლო დავალება შეასრულა და „შინ“ ბრძანებისამებრ ცალ-ცალკე ბრუნდებოდნენ.

მაინც რა უკუღმართად დაიწყო. 22 ივნისს, დილის 4 საათსა და 15 წუთზე გერმანელები დაუგვავაში სამხედრო აეროდრომს ბომბავდნენ. სასიკვდილო ტყვირს აყრიდნენ მთელ ქვეყანას, სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდათ.

ფაშისტები კალიასავით მოედნენ ქვეყანას. დაანგრიეს დიდი ქალაქები. ლენინგრადი ალყაშია. მას სხვებზე მეტად უჭირს. თუმცა ვის არ უჭირს ახლა, — გაიფიქრა მფრინავმა.

ომმა ყველაფერი აწეწ-დაწეწა. ნეტა რა ამბავია საქართველოში? თბილისში? მფრინავი წერილებს კანტიკუნტად იღებს. ამ ბარათებით ბევრს ვერაფერს გაიგებთ.

საუკუნეები ომებში გამოატარა სამშობლომ. მერე როგორც იქნა ამოისუნთქა. ნუთუ ახლა, თითქმის 150 წლის მშვიდობიანი ცხოვრების შემდეგ გერმანელების სატარეშოდ გადაიქცევა თბილისი?

პილოტს გააჟრჟოლა. ცდილობდა როგორმე თავი დაეღწია ამ საზარელი ფიქრებისაგან.

მერე უცებ გამოერკვა...

ჰაერში გერმანელების ბომბდამშენი გაჩნდა და მძიმე ზმუილით გადაუარა რკინიგზის სადგურს.

ახლა სამიზნედ ჩამოიჭროლებს და... მგონი ვერ შემამჩნია. მფრინავმა იცის, რაც უნდა გააკეთოს. ქვევით ჩაიხედა.

რკინიგზის სადგური პანიკამ მოიცვა. ადამიანები თავგზააბნეულები გარბიან.

მატარებლის ვაგონებიდან ბავშვები გადმოეკიდნენ, ბაქანზეც პატარები დგანან და შეშინებულები იყურებიან ცაში.

თითქოს სისხლი გაეყინა ღვებში, საგარძლის საზურგეს ჭებით მიაწვა და თითქმის ლა უთხრა თავს — ახა, ბიჭო, ახლა უნდა ივაჭრო.

სიმაღლე აიღო.

კვლავ გამოჩნდა გერმანული ბომბდამშენი, ცხვირდაწეული ბარებულივით მიდიოდა მაღლისაკენ.

„იაკი“ ლანდივით აედევნა მტერმა შეამჩნია. მანქანა დაიწყო. პირი იბრუნა და ესროლა წითელვარსკვლავიან მანადგურებელს. საბჭოთა ვაჟს ამჯერად ის უხაროდა, მტერს სამიზნე დააკარგვინა და არ მოეშვა. როგორც ბომბდამშენის კუდი „ჯვარი აქცია“ და სასხლეტს მარჯვენა აჭირა.

ცაში ალი ავარდა. საბრძოლო განწირულმა გაიწია და ბოლი გაიყოლია. მერე საბრძოლო ხმაურით დაასკდა ღრუბლები.

„იაკმა“ რკინიგზის რამდენჯერმე შემოუარა, ადამიანებს ამშვიდებდა: შინიათ, მე თქვენთან ვარ, იმედი და მფარველიო.

მატარებელი დაიძრა.

გამანადგურებელი დაბალი ნით აედევნა, ბავშვები მა რებით უქნევდნენ ხელებს.

მიქროდა მატარებელი და ყავდა გადარჩენილი ბავშვებ

ვინ იცის, იქნებ საქარ შიც მიდიანო, ფიქრობდა მფ ბავშვები სამშვიდობომდე ლა და როცა დარწმუნდა, მანელებს ეველარად გადაე ნო, მხოლოდ მაშინღა გა და.

• • •

მას შემდეგ მრავალმა წელ მა ჩაიარა.

დაიზარდნენ გოგო-ბიჭები. წლის იმ ავბედით დღეს შეძ ლები რომ იყურებოდნენ ცა

სამუდამოდ დაახსომდათ: გერმანული ბომბდამშენის დილის მომასწავებელი ზმ მფარველად მოევლინილი ვარსკვლავიანი გამანადგურ რომელმაც ისე გმირულად დირა მტრის „სვავი“ და სამშვიდობოზე გააცილა პა

„იმ კეთილი მფრინავი ხსენებაში დაქალღნენ და ცდნენ. მისი ვინაობის გაგ რდათ.

ამის შესახებ დაიწერა პრ სანთელ-საკმეველმა გზა კარგა.

ახლა ქვეყნის სხვადასხვ ხიდან მოდის მადლობისა ვარულის გრძნობით სავსე რილები იმ ადამიანის ს რომელმაც სიცოცხლე შეუ ორი ათასამდე ადამიანს.

კონვერტებს ასე აწერია თბილისი, საბჭოთა კ გმირს — დავით ჯაბი

ჯემალ ქურხ

...ს 25 წელი



წერილი

ესკადრილიას საბრძოლო დავალება მიიღო და შევარდნები ასაფრენად ემზადებოდნენ.

მეთაური გიორგი ინასარიძე თვითმფრინავთან იდგა.

— ამხანაგო გიორგი, ამხანაგო გიორგი! — მაღალი, შავგვრემანი კაცი კონვერტით ხელში ასაფრენ ბილიკზე მორბოდა.

— რა იყო, საშა? — ინასარიძე თვითმფრინავს მოშორდა.

— წერილია საქართველოდან!

გიორგის თბილმა ჟრუანტელმა დაუარა. სიტყვა არ დასცდენია, ისე ჩამოართვა წერილი მფრინავ საშა იაკუშევს. დახედა, დედის გაკრული ხელი იცნო. ერთ წუთს დაფიქრდა — ახლა გაეხსნა თუ... მერე, როცა საბრძოლო დავალებიდან დაბრუნდებოდა?

1944 წელი იდგა. საბჭოთა არმია მტერს მისი ბუნაგისაკენ ერეკებოდა. ახლოს იყო გამარჯვება, მაგრამ იგი ჯერაც დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. შიში რა საკადრისია, მაგრამ... უკან რომ არ დაბრუნებულიყო? წერილი კი, მით უმეტეს, დედის წერილი, გულს რომ საოცარი სითბოთი ავსებდა, წამკითხველს ელოდებოდა.

დედა ყოველთვის მოკლე ბარათს უგზავნიდა. ახლაც სულ ნახევარი გვერდი დაეწერა.

„ჩემო საყვარელო შვილო შურა!

შენს გმირობაზე აქ ბევრსა წერენ. ვკითხულობ და სიამაყით ვივსები. კოტეს წერილიც მივიღე. კაპიტანია. ისიც დააჯილდოეს ორდენებით.

ვამაყობ თქვენით, შვილებო! ერთი წუთით რომ შემავლებინა თქვენთვის თვალი, მაშინ მთლად ბედნიერი დედა ვიქნებოდი. დამილოცნიხართ, თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ"....

ესკადრილიის მეთაურმა წერილი გულის ჯიბეში ჩაიდო, მსროლელს ხელით ანიშნა, შენს ადგილზე დაჯექიო და თვითონაც თვითმფრინავში ჩაჯდა.

მოტორები აგუგუნდნენ. თვითმფრინავები ზედიზედ მოსწყდნენ მიწას და ცაში აიჭრნენ.

გიორგი წამებს ითვლიდა. სადაც არის ფრონტის ხაზზე უნდა გადასულიყვნენ. უცებ ცაში ცეცხლის ენები გაიკლაკნა. მტრის საზენიტო არტილერიამ სროლა ატეხა.

წარბი არ შეუხრიათ მფრინავებს, ხელი არ ასტოკებიათ, უშიშრად მიჰყავდათ მანქანები. მეთაური დროდადრო განკარგულებას იძლეოდა, თვალს არ აშორებდა რუკას...

მოფრინდნენ. ჰო, სწორედ ეს ადგილია. აი ტყე, ტყის პირას ორი დიდი შენობა. შემდეგ ტრიალი მინდორი. მინდორს იქით კი... სოფელი? საიდან გაჩნდა აქ სოფელი? რუკაზე რომ არ არის აღნიშნული?

გიორგი რუკას დაჟინებით დაჰყურებს, მაგრამ უყურე რამდენიც გინდა! არ არის!

შეცდნენ? აბა, რა მოხდა? მარშრუტი ზუსტად გამოიარეს, კურსი არსად შეუცვლიათ.

გიორგის თვითმფრინავი ესკადრილიას გამოეყო, დაბლა იწყო დაშვება. თვითმფრინავი ოდნავ დახრილ მდგომარეობაში კარგავდა სიმაღლეს. დაძაბულად, მთელი ყურადღებით აკვირდებოდა გიორგი საეჭვო სოფელს.

— აჰა, ჩემი გაცურება გინდათ? ვერ მოგართვეს! — ხმამაღლა თქვა ესკადრილიის მეთაურმა და თვითმფრინავი გაასწორა.

— მოემზადეთ დასაბომბად! ჩვენი ქვემოთ სოფელი კი არა მტრის მანქანებია, თვალის ასახვევად სოფლის იმიტაცია მოუწყიათ.

მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია.

თვითმფრინავები ღმუილით დაეშვნენ ძირს...

იწვოდა მტრის ტექნიკა: მანქანები, ტანკები, ცისტერნები... ცას სწვდებოდა ალი...

ერთბაშად მეთაურის თვითმფრინავი შეირყა. გიორგიმ მარცხენა მხარეს გაიხედა. მანქანას ზედ კუდთან მოსდებოდა ცეცხლი. ერთ წამს შეაფასა მდგომარეობა. პარაშუტით გადმოხტომა თვითმკვლელობას ნიშნავდა. იქნებ ცეცხლი მოვაშოროო, გაიფიქრა და თვითმფრინავი მარჯვნივ გადახარა, მკვეთრად მოუმატა სისწრაფეს და თვალი გააყოლა, როგორ მოსწყდა კუდს ალი. გიორგიმ შვებით ამოისუნთქა, მაგრამ... დაზიანებული თვითმფრინავიდან ზეთი იღვრებოდა, კომპასი აღარ მუშაობდა.

— ჩემ წინ იფრინე, ბორის! ორიენტაციას ვკარგავ. შენ გამომყვები, — რადიოთი გადასცა მეგობარსა და თანამებრძოლს, ჭირსა და ლხინში მრავალჯერ ნაცად ბორის კატალკოს.

ათი დღე იყო მხოლოდ, რაც გიორგისა და ბორისს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

— შურა, როგორ არის საქმე? — მალ-მალე კითხულობდა ბორისი.

— ზეთს ვკარგავ ბევრს. როგორმე უნდა გადავიდე ფრონტის ხაზზე...

და გიორგიმ თითქოს კვლავ გაიგონა დედის ხმა: „თქვენით ვამაყობ, შვილებო, თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ"...

ამ ბურუსიან ცაში დედის სახემაც გაიელვა. და გიორგიმ გადაწყვიტა, რომ უნდა ეცოცხლა, გამარჯვებული დაბრუნებოდა დედას, რომლის წერილიც გულს უთბობდა ახლა, ძალას აძლევდა სიცოცხლის სიკვდილთან ჭიდილში...


...რამდენი ხანია ომი დამთავრდა.


საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის პოლკოვნიკი გიორგი ინასარიძე თბილისში ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

ხვალ ჩვენი ხალხი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავს ზეიმობს. გიორგის ოჯახში კვლავ შეიკრიბებიან ესკადრილიის ყოფილი მფრინავები, ისინი, რომლებმაც ფოლადის ფრთებით ჩამოატარეს 9 მაისი, კეთილის ბოროტზე ძლევის დღესასწაული.

როდამ ჩაჩანიძე

დიდება ქართველ გმირებს!





ომგადახდილებთან შეხვედრა თბილისის სადგურში 1945 წლის 12 ივლისს.

უმაღლესი ჯილდო

როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე (№ 7, 1970) ვიუწყებოდით, 15 აპრილს მოსკოვში გაიხსნა ლენინის დაბადების ასი წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის საერთაშორისო გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ გამოცემული 25 ათასი წიგნი. გამოფენას წინ უძღოდა საკავშირო კონკურსი. კონკურსის ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი მხატვრები, პოლიგრაფისტები, ხელოვნებისმცოდნენი, უმაღლესი ჯილდო— ივანე ფიოდოროვის სახელობის დიპლომი მიანიჭა საქართველოს გამომცემლობა „ხელოვნების" მიერ გამოშვებულ წიგნს — „ქართული ხელნაწერები". ეს ჯილდო ენიჭება წიგნებს არა მარტო შინაარსისა და შედგენილობის, არამედ, უპირველესად, მხატვრული და პოლიგრაფიული შესრულებისათვის. სწორედ მაღალმხატვრული გაფორმებისა და შესანიშნავი პოლიგრაფიული ხარისხის გამო ჟიურიმ ეს ალბომი უმაღლესი ჯილდოს ღირსად ცნო და იგი მსოფლიო პოლიგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს ამოუყენა გვერდით.

„ქუთაისი"

კიდევ ერთი ახალი ტანკერი „ქუთაისი" გადასერავს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს. ეს ტანკერი იუგოსლავიაში აიგო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. მისი წყალწყვა 31.000 ტონას შეადგენს. 4 აპრილს ტანკერზე საბჭოთა კავშირის ალამი აფრიალდა და ხომალდმა გეზი საქართველოსაკენ აიღო. ტანკერის კაპიტანმა, ახალგაზრდა მეზღვაურმა, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ავთანდილ ბროკიშვილმა თოლიასავით ქათქათა ტანკერი ნელი სვლით ბათუმის ნავსადგურში შემოიყვანა.

საქართველოს სანაოსნოს უფროსმა ანატოლ კაჭარავამ კაპიტანს მიულოცა გემის მიღება და ბედნიერი ნაოსნობა უსურვა.

„ქუთაისმა" გეზი პირველად ბელგიისაკენ აიღო.

ზურგის ქარს გისურვებთ, „ქუთაისელებო"!

შეხედე — „გორდაა!"

ჟურნალ „ტექნიკა მოლოდიოჟი" (№ 3, 1970 წელი) გამოაქვეყნა ინჟინერ ჟოლონდკოვსკისა და ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ილჩუკის ვრცელი და საინტერესო წერილი „მოხუცი ბაზალაის საიდუმლოება". ეს არის პასუხი სვერდლოვსკელი ხარატის კონიაევის შეკითხვაზე, თუ როგორ ქმნიდნენ ჩვენი წინაპრები ცივ იარაღს, რომლითაც შეიძლებოდა ჯაჭვის პერანგის, ფოლადის მუზარადისა და აბჯრის გაკვეთა.

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ამ წერილის თავს, რომელიც ეხება საქართველოს — „შეხედე — „გორდაა!"

კავკასიაში საუკეთესო ხმლად ითვლებოდა „გორდა". ამ იარაღით გაბედულად ერკინებოდნენ აბჯარასხმულ მტერსაც კი. „გორდას" საოცარ თვისებებზე მჭევრმეტყველურად მოგვითხრობს ძველებური ლეგენდა: „ერთმა მთიელმა ისწავლა საოცარი ხმლების გამოჭედვა, მაგრამ გაიგო, რომ ამ ქვეყნად ასეთი ოსტატი სხვაც იყო. მოისურვა გამოეცადა თავისი მახვილი თუ იყო უფრო სალი. და აი შეხვდნენ ერთმანეთს მჭედლები, იშიშვლეს ხმლები. „შეხედე — „გორდაა!" — შესძახა პირველმა და დაჰკრა მეტოქის ხმალს. „გორდამ" გაკვეთა ჯავარდენი და მასთან ერთად ოსტატიც".

„გორდა" ძალიან იშვიათი ხმალია. საკმარისია ითქვას, რომ თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რომლის ფონდებში დაცულია არა მარტო კავკასიური მახვილები, არამედ ჩინური ხმლებიც, „გორდა" არ არის.

არანაკლები სახელით სარგებლობდნენ უმუხი მოხუცი ოსტატის ბაზალაისა და მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობის ნაკეთობანი. ხანჯლებსაც ასე ერქვათ — „ბაზალაი". ამბობდნენ, ამ ხანჯლით შეიძლებოდა კაჟზე ნაპერწკლის დაკვესება და შემდეგ წვერის გაპარსვაო.

როგორც „გორდას", ასევე ოსტატ ბაზალაის ხანჯლების წარმოების საიდუმლოება დღემდე ამოხსნილი არ არის.

ამ მხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ბედმა გაუღიმა" ქართველი ოსტატების ხმლებს. ისინი ხარისხით ოდნავ ჩამორჩებოდნენ „გორდას".

ქართველები ერთადერთი ხალხია კავკასიაში, რომლებმაც შემოინახეს ჯავარდენი იარაღის წარმოების საიდუმლოება.

ეს ტექნოლოგია თავის მეორე დაბადებას უმადლის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს კონსტანტინე ჩოლოყაშვილს. ძველმა ხელნაწერებმა, რომლებშიც მეცნიერმა იპოვა საბრძოლო ფოლადის საიდუმლოება, დაწვრილებით თქვეს ყველაფერი. ზუსტად იყო მითითებული რამდენჯერ და რა ჩაქუჩი უნდა დაერტყა ოსტატს ხმლის ერთ მხარეს, შემდეგ გადაებრუნებინა ნამზადი, დაერტყა კიდევ, გაეხურებინა, დაერტყა მასზე თუჯნამცეცი და ასე შემდეგ.

ჩოლოყაშვილმა აღმოჩენილი ხელნაწერი გადასცა ცნობილ მეტალურგს აკადემიკოს ფერდინანდ თავაძეს, რომელმაც ინჟინერ ლეჟავასთან ერთად რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში მიიღო ძველებური ფოლადი.

მართლაც, ფოლადი შესანიშნავი ხარისხისა იყო... მაგრამ ამაზე ექსპერიმენტი დამთავრდა — პროცესი ძალზე ხანგრძლივი და შრომატევადია და იგი არ გამოიყენება თანამედროვე ქარხნებში.

ჩოლოყაშვილმა დაადგინა, რომ თბილისელმა ოსტატმა-მეიარაღეებმა ეფრემ და ყარამან ელიზარაშვილებმა 1828 წელს რუსეთის მთავრობას გადასცეს ჯავარდენის მახვილების დამზადების საიდუმლოება. იმავე ხანებში გადაწყდა რუსეთის არმიისათვის საჭირო ხმლებისა და დაშნების ზლატოუსტის ქარხანაში დამზადება.

ელიზარაშვილთან სასწავლად ჩამოვიდა ოთხი კაცი — ორი რუსი და ორი ოსტატი გერმანული ფირმა „ზოლინგენიდან". მათ საშუალება ჰქონდათ საკუთარი თვალით ენახათ მახვილის დამზადების მთელი პროცესი, დაწყებული იმ მომენტიდან, როცა ყარამან ელიზარაშვილი გაახურებდა ძველ ჟანგიან ნალებს, დაამუშავებდა მათ თურქული თუჯის ფხვნილით, შემდეგ მოხარშავდა თურქულ ფოლადთან ერთად, გამოკვერავდა მახვილს და გადასცემდა ხელქვეითს. წამიც და იგი გზაზე მიაქროლებდა ცხენს, თან ზეაღმართული ეჭირა გავარვარებული ხმალი. ფოლადი იწრთობოდა შემხვედრი ქარის ნაკადში. ჭეშმარიტად დიდებული სანახაობა იყო თურმე ეს.

კავკასიის ლაშქრობათა ცნობილი ისტორიკოსი რუსი გენერალი პოტო 1887 წელს მივიდა საინტერესო დასკვნამდე. ზლატოუსტური საუკეთესო ხმლები დამზადებულია 1832, 1833 და 1834 წლებში, მას შემდეგ, რაც იქაური ოსტატები თბილისში იყვნენ ელიზარაშვილთან პრაქტიკული სწავლების გასავლელად. უფრო მოგვიანებით დამზადებულ იარაღს უკვე აღარ ახასიათებდა ასეთივე საუკეთესო თვისებები.

თავაწყვეტილი ქარიშხალი

თვითმფრინავი სიდნეის აეროპორტში დაეშვა. შავჩოხა-ახალუხიანმა ჰაბუკებმა პირდაპირ ტრაპიდან დაიწყეს ცეცხლოვანი ცეკვა „მხედრული“. სახელდახელო პრესკონფერენციას ტელევიზიით გადასცემდნენ მეხუთე კონტინენტის მცხოვრებთათვის. ასე დაიწყო თავისი საგასტროლო ტურნე ავსტრალიაში საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

სიდნეის მთავარ მაგისტრალზე — „ჯორჯ-სტრიტზე“ კი უზარმაზარი აფიშები აუწყებდნენ გამვლელ-გამომვლელს, რომ სიდნეიში ჩამოვიდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული ცეკვის ანსამბლი. „ყველანი „მაჟესტისის“ თეატრში!“. „იხილეთ ქორეოგრაფიის არაჩვეულებრივი სანახაობა!“ ხალხს მოუწოდებდნენ დიდი ასოებით დაწერილი ტექსტები.

მეორე დღეს სიდნეის გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქართველ მოცეკვავეთა ხელოვნებისათვის უმაღლესი შეფასების მიცემაში, აღტაცებულ რეცენზიებს უძღვნიდნენ სახელგანთქმულ კოლექტივს. „დეილი მირორმა“ „წარმოუდგენელი მოცეკვავეები“ უწოდა ანსამბლის წევრებს, რომელთაც კონცერტის დასასრულ „მაყურებელი 14 წუთს უკრავდა ტაშს“. „საუცხოო კოსტიუმებიანი 12 მოცეკვავე გოგონას მომხიბვლელობამ და სილამაზემ სუნთქვა შეუკრა დარბაზში მყოფთ. ისინი ჰგავდნენ ნარნარად მოსრიალე ხელოვნურ დედოფლებსო“, აღნიშნავდა გაზეთი.

ჟურნალისტი ქალი ბარბარა ჰოლი მკითხველებს მოუწოდებდა: „სპექტაკლი იმდენად კარგია, რომ აუცილებლად უნდა ნახოთო“.

გაზეთმა „სანმა“ ქარიშხალს შეადარა ქართველი მოცეკვავეები: აქ „არასოდეს ყოფილა აქამდე საქართველოს ცეკვის ანსამბლის მსგავსი რამ...


ისინი საქართველოდან პირდაპირ „მაჟესტისის“ თეატრის სცენაზე გადმოხტნენ და განცვიფრებისაგან დაამუნჯეს ხალხით გაჭედილი დარბაზი..

ეს არის თავაწყვეტილი ქარიშხალი ხალხური ცეკვებისა, ეს არის მფრინავი სხეულები, შეშართული ხმლები, სცენაზე დაფრქვეული ნაპერწკლები“.

მაყურებელთა ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ იმპრესარიომ მაიკლ ეჯლიმ ანსამბლის დირექტორთან ილიკო სუხიშვილთან შეთანხმებით გაზარდა კონცერტების რიცხვი და ქართველი მსახიობები ხშირად დღეში ორ-ორ კონცერტს აწყობდნენ.

სიდნეიში სამი კვირის გასტროლების შემდეგ ანსამბლი ამდენივე ხნით ეწვია ახალ ზელანდიას, სადაც უდიდესი წარმატებით წარმართა ტურნე. ახალზელანდიელი მაყურებელი მოცეკვავეებს უაღრესად მხურვალედ შეხვდნენ, თეატრალური კრიტიკოსები კი, როგორც ახალი ზელანდიის პრესა წერს, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან პირველ რეცენზიებშივე ამოწურეს ქების მთელი მარაგი.

26 აპრილს ანსამბლი ავსტრალიაში დაბრუნდა. ამჟამად ქართველი მოცეკვავეები წარმატებით განაგრძობენ გასტროლებს ბრისბენში, კანბერაში, მელბურნსა და პერტში.



სოხუმი. დიოსკურია. მეთევზეთა ბადეები.



სიჟაბუკე. ალექსანდრე საკოვის ფოტო

ქართული ხალხური სიმღერები 15 ტომად

საქართველოში ხალხური მუსიკალური ფოლკლორის შეგროვებას ადრე ცალკეული სპეციალისტი-ენთუზიასტები ეწეოდნენ. ზაქარია ფალიაშვილმა, მელიტონ ბალანჩივაძემ, ია კარგარეთელმა ჩაიწერეს და დაამუშავეს ხალხური მუსიკის ასობით ნიმუში. მაგრამ ჩვენი ეროვნული საუნჯის სისტემატურ შეგროვებას, ჩაწერასა და დამუშავებას მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში მიექცა ყურადღება.

მრავალრიცხოვანი ექსპედიციიდან, რომლებსაც ამჟამად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ყოველწლიურად აწყობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, კომპოზიტორთა კავშირი, სახელმწიფო კონსერვატორია და სხვა შემოქმედებითი ორგანიზაციები, მუდამ ხელდამშვენებული ბრუნდებიან. დაგროვდა დაახლოებით 5.000 სიმღერა და მელოდია. უკვე არსებობს ყველა საფუძველი იმისათვის, რომ გამოიცეს ქართული ხალხური სიმღერებისა და მელოდიების კრებული. ასეთი კრებული გამოვა 15 ტომად. შექმნილია სარედაქციო კოლეგია, რომელიც აერთიანებს ცნობილ კომპოზიტორებსა და მუსიკისმცოდნეებს — ანდრია ბალანჩივაძეს, შალვა მშველიძეს, მიხეილ ჩარნაშვილს, გრიგოლ ჩხიკვაძეს, ოთარ გორდელს. გამოცემის მთავარი რედაქტორია ოთარ ჩიჯავაძე.

მრავალტომიან გამოცემაში შევა ქართველი ხალხის უნიკალური ნაწარმოებები, მაგალითად, სიმღერების უძველესი ბელოდეები „ამირანის“ ციკლიდან. ეს სიმღერები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში ჟღერდნენ.

ენციკლოპედიური გამოცემაში დიდ ადგილს დაიჭერს ოთხხმიანი პოლიფონიური ხალხური სიმღერები, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავს მსმენელები. და აგრეთვე თანამედროვე სიმღერებიც.

სიმღერების ყველა ტექსტს ექნება თარგმანი რუსულ და ინგლისურ ენებზე. თითოეულ ტომს დაერთვის გამოკვლევები და სრული სამეცნიერო განმარტებანი.

გამოცემა 1973 წელს დასრულდება.

მეგრული მასალების მიხედვით

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ამას წინათ გამოუშვა აპოლონ ცანავას „ქართული ზეპირსიტყვიერების საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით)“. ნაშრომი ოთხი თავისაგან შედგება. პირველ თავში განხილულია მითოლოგიის საკითხები, მეორე თავი ეძღვნება ეპიკურ ტრადიციას; ცალკეა გამოყოფილი და გაანალიზებული ზღაპრების სამი ჯგუფი: 1. ჯადოსნური, 2. საყოფაცხოვრებო, 3. ზღაპრები ცხოველებზე. მესამე თავში ვრცლად არის გადმოცემული პოეზიის ანალიზი. მეოთხეში — ანდაზებისა და გამოცანების მხატვრულ-შინაარსობრივი ანალიზი. წიგნის დიდი ნაწილი მეგრული ანდაზებისა და გამოცანების საუკეთესო ნიმუშებს ეთმობა.

ალგომი — სუვენირი

ახლახან საქართველოს დეპეშათა სააგენტომ გამოსცა ალბომი-სუვენირი — „შატილი“. ალბომი მკითხველს აცნობს შატილის წარსულსა და აწმყოს, ქართველების ერთ-ერთი ტომის — ხევსურების ჩაცმულობას, გარდახდილ ბრძოლებში მათ მიერ გამოყენებულ იარაღს, ადათ-წესებს.

ნაჩვენებია შატილის ხედები, ისტორიული ძეგლები.

ალბომს ერთვის ამ მომხიბლავი ადგილის აღწერილობა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.


წიგნი პოლიგრაფიულად კარგად არის გაფორმებული. ბონდო დადვაძისა და ოთარ თურჩიას ფერადი სურათებით.

ვისაუბროთ ფრანგულად

ასე ეწოდება ლამარა გეგეჭკორის ქართულ-ფრანგულ სასაუბრო წიგნს, რომელიც „განათლებამ“ მეორედ გამოსცა. წიგნი მიზნად ისახავს დაეხმაროს ქართველ კაცს ფრანგებთან ურთიერთობისას ისარგებლოს ფრანგული ენის მინიმუმით. წიგნში წარმოდგენილი მასალა განლაგებულია თემატიკურ-საგნობრივი პრინციპის მიხედვით.

ლამარა გეგეჭკორის წიგნი დაეხმარება იმათაც, ვინც დაინტერესებულია ფრანგული ენის შესწავლით.

კოჯე ბაქრაძე



ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 28 აპრილს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 71 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ფილოსოფოსი, აკადემიკოსი კოტე (კონსტანტინე) ბაქრაძე.

კოტე ბაქრაძის სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა საუკეთესო შვილი, საბჭოთა მეცნიერებამ — საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედი მკვლევარი, ქართულმა ფილოსოფიურმა სკოლამ — ერთერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი და მეთაური.

კოტე ბაქრაძემ ერთ-ერთმა პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება თბილისის უნივერსიტეტში და მუშაობდა იქვე სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო მისივე თაოსნობით გახსნილი ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის კათედრის გამგე, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

კოტე ბაქრაძის კვლევა-ძიების ცენტრში ყოველთვის იდგა ფილოსოფიის ყველაზე აქტუალური პრობლემები. თავისი დიდი ნიჭისა და ფართო ერუდიციის წყალობით მას დიდი წვლილი შეჰქონდა ამ პრობლემათა გადაწყვეტაში. მისი შრომები გამოირჩევა სიღრმით, ნატიფი ანალიზით, ნათელი და მკაცრი არგუმენტაციით. ყოველივე ამან დამსახურებულად მოუპოვა საერთაშორისო აღიარება. იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და მკვლევარი, არამედ ბრწყინვალე პედაგოგიც, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება. მას შეეძლო ყველაზე ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების მარტივად და ყველასათვის გასაგებად გადმოცემა. დაჯილდოებული იყო ბრწყინვალე პოლემისტური ნიჭით.

კოტე ბაქრაძის მეცნიერულმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. ავტორიტეტი, რომლითაც დღეს ჩვენი ფილოსოფიური სკოლა სარგებლობს, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია კოტე ბაქრაძის სახელთან.

საბჭოთა ხელისუფლებამ კოტე ბაქრაძის ღვაწლი ღირსეულად დააფასა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით, იყო საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

აკადემიკოს კოტე ბაქრაძის სახელი დაუვიწყარი იქნება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

ნიკოლოზ ანთელავა



გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ნიკოლოზ ანთელავა.

ძალზე მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო ნიკოლოზ ანთელავას ცხოვრება და მოღვაწეობა. დიდ პრაქტიკულ-საორგანიზაციო საქმიანობასა და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მან ჯერ კიდევ 1928 წელს დაადგინა თორაკოპლასტიკის ორიგინალური ვარიანტები, რამაც დიდად შეუწყო ხელი ფილტვის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობის განვითარებას. საინტერესოა მისი ნაშრომები ამ საკითხებზე. ბევრი მათგანი უცხოურ ენებზეც ითარგმნა.

ნიკოლოზ ანთელავამ ერთერთმა პირველმა შეისწავლა საბჭოთა კავშირში ბრუცელოზის ქირურგიული მკურნალობის საკითხები. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი ნაშრომი ზოგადი და გულმკერდის ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე. აქედან 13 მონოგრაფიაა.

1961 წელს ფილტვის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის მეთოდების დამუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის მას ლენინური პრემია მიენიჭა.

უკანასკნელ წლებში ნიკოლოზ ანთელავამ ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის I ქირურგიული კლინიკის ბაზაზე ჩამოაყალიბა გულმკერდის ქირურგიის ცენტრი და გულმკერდის ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, სადაც საქართველოს სინამდვილეში პირველად განახორციელა ოპერაცია მშრალ გულზე ექსტრაკორპორალური სისხლის მიმოქცევის მეშვეობით, თანდაყოლილი და შეძენილი გულის მანკის დროს.

აკადემიკოს ნიკოლოზ ანთელავას სახით ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა უმაღლესი კვალიფიკაციის მკურნალი, გამოჩენილი დასტაქარი, ცნობილი მეცნიერი, დაუღალავი მკვლევარი, გულისხმიერი პედაგოგი და გულითადი მეგობარი.

სპორტული ქრონიკა

● **ვილნიუსში** დამთავრდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში. ამ ასპარეზობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თბილისელ დიტო შანიძეს საკავშირო სარბიელზე ტოლი არა ჰყავს. ქვემსუბუქი წონის ძალოსანმა ჩემპიონობა შეინარჩუნა და სამჭიდში 387,5 კგ. გვიჩვენა.

● **ასტრახანში** თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდს საბჭოთა კავშირის თასზე მორიგი მატჩი ჰქონდა ადგილობრივ „ვოლგართან“. გაიმარჯვეს ქართველმა ფეხბურთელებმა და გავიდნენ გათამაშების მეთექვსმეტედფინალში, სადაც მათი მეტოქე თბილისის „დინამო“ იქნება.

● **თბილისში**, „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა შავგულიძის ხსოვნის თასის გათამაშებაში ერთმანეთს შეხვდნენ „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები: ტყიბულის „მეშახტე“ და ლანჩხუთის „გურია“. მაღაროელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 3:0 და დაისაკუთრეს გარდამავალი თასი.

● **საქართველოს** 16 უძლიერესი მოჭადრაკე ეცილებოდა ერთმანეთს რესპუბლიკის 1970 წლის ჩემპიონის წოდებას და საკავშირო პირველობის ორ საგზურსაც. ამ შეჯიბრების ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე იყო პირველთანრიგოსანი ციცინო კახაბრიშვილი. მან 10 პარტია მოიგო და 5 ქაიმით დაამთავრა, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. 11 ქულით მეორე ადგილი დაისაკუთრა ნათელა ჩიქობავამ, მან გაიხადა აგრეთვე საკავშირო პირველობის მეორე საგზური. 10,5 ქულით მესამე ადგილზე გამოვიდა თამარ ხუგაშვილი.

● საქართველოში სტუმრად არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი რეგბში, მოსკოვის იური გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო ინსტიტუტის გუნდი. მან რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა გამართა თბილისის „ლოკომოტივთან“. გაიმარჯვეს ქართველმა რეგბისტებმა — 9:5.

● **ბათუმის** ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის სპორტდარბაზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა აჭარის წლევანდელი პირველობა ფრენბურთში. ქალთა შორის უძლიერესი გამოდგა ბათუმის ბავშვთა სპორტული სკოლის გუნდი. მოსწავლეებმა ყველა შეხვედრა მოიგეს. II ადგილზე გავიდნენ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, მესამეზე — „განთიადის“ წარმომადგენლები. ვაჟთა კოლექტივებში იმარჯვეს განთიადელებმა, რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა ჭოუგეს სპორტსკოლელებს. III ადგილი მოიპოვა პედინსტიტუტის გუნდმა.

● **სოხუმის** მოსწავლეთა და პიონერთა პარკში გაიმართა აფხაზეთის პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნურ კროსში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გაგრის, გალის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონების, აგრეთვე ქალაქების — სოხუმისა და ტყვარჩელის წარმომადგენლები.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო სოხუმის ნაკრები. II ადგილზე არიან გალის რაიონის, მესამეზე — ტყვარჩელელი სპორტსმენები.

● ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნურ კროსში. სარბიელზე გამოვიდნენ ქალაქ ცხინვალის, ჯავის, ზნაურისა და ცხინვალის რაიონების გუნდები.

გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I — ქალაქი ცხინვალი, II — ჯავა, III — ზნაური.

● **„ოქროს** თავთავის“ თასის გათამაშებაში ცხინვალის რაიონის ფეხბურთელთა 8 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში დმენისელებმა დაამარცხეს არცევის ნაკრები (1:0) და თასიც დაისაკუთრეს.

● **საბჭოთა** კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის იუგოსლავიაში გაემგზავრა.

საბჭოთა კალათბურთის ღირსებას კვლავ დაიცავს თბილისელი ზურაბ საკანდელაძე.





ერიკ ჯეროვი — „ვინლუთა საუკეთესო ფეხბურთელი“.



ზოთა მირიანაშვილი — „ქართველი მთამსვლელები ფეიცარიაში“.

სპორტი

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	9	5	3	1	14-6	13
ცსკა	8	5	2	1	15-2	12
„დინამო“ (მ.)	8	5	2	1	13-1	12
„დინამო“ (კ.)	8	5	2	1	8-4	12
„ნევთჩი“ (ბ.)	8	3	5	0	8-2	11
სკა (როსტ.)	8	4	3	1	8-4	11
„ტორპედო“ (მ.)	9	3	3	3	9-10	9
„ზარია“ (ვ.)	9	3	3	3	5-10	9
„არარატი“ (ერ.)	8	3	2	3	5-5	8
„ტორპედო“ (ქ.)	9	2	4	3	5-7	8
„სპარტაკი“ (მ.)	8	1	5	2	10-10	7
„ჩერნომ.“ (ო.)	9	2	2	5	5-8	6
„ზენიტი“ (ლ.)	8	2	2	4	7-11	6
„ფახთაკორი“ (ტ.)	9	1	4	4	6-18	6
„დინამო“ (მხ.)	8	1	3	4	4-6	5
„შახტიორი“ (დ.)	8	1	3	4	5-11	5
„სპარტ.“ (ორჯ.)	8	0	2	6	5-17	2

„დინამოს“ ქულებს აგროვებს

საბჭოთა კავშირის ნაკრებში საუკეთესო ფეხბურთელთა გაწვევის შედეგად ყველაზე მეტად თბილისის „დინამო“ დაზარალდა. მას ხუთი წამყვანი მოთამაშე აკლია. „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ჩინებულად თამაშობენ. 25 აპრილს ლენინგრადში „ზენიტთან“ შეხვედრა დაამთავრეს ფრედ — 1:1. 2 მაისს კი ქუთაისის „ტორპედოს“ მოუგეს ანგარიშით — 2:0.

ამჟამად თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობის ლიდერია. გთავაზობთ გათამაშების ცხრილს 7 მაისის მდგომარეობის მიხედვით.

„მთები და ადამიანები“

მთა ყველას გვიზიდავს თავისი სიდიადითა და მარადიულობით.

მაგრამ მას ჰყავს განსაკუთრებული თაყვანისმცემლები, მოტრფიალენი. ესენი არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომელთაც ერთი სიტყვა — ალპინიზმი აერთიანებთ.

ვაჟკაცური და ამაღელვებელია მათი ტრფიალი. მთამსვლელებიც თითქოს განსხვავებული ადამიანები არიან, თავიანთი გულოვნებით პატივისცემას, კრძალვასა და მორიდებას რომ იმსახურებენ.

ამას წინათ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ მოაწყო ფოტო-კინოკონკურსი თემაზე: „მთები და ადამიანები“. კონკურსზე მთამსვლელებმა წარმოადგინეს საკუთარი ფილმები, დიაპოზიტივები და ფოტონამუშევრები.

კონკურსის მონაწილეთა შემადგენლობა მრავალეროვანია. მთის ტრფიალში ერთმანეთს ეცილებიან ქართველი და რუსი, პოლონელი და ბულგარელი ალპინისტები. გამარჯვებულისათვის დაწესებული იყო დიდი პრიზი. აგრეთვე პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე პრემიები — მხატვრული ჭედურობის საუკეთესო ნიმუშები.

სპეციალური პრიზი მიენიჭა გია ჭუბაბრიას ფილმებს „თეთრი თორღვაი“ და „უშგული“.

პირველი პრემია დაისაკუთრა იური ბურლაკოვის ფილმმა „გამარჯობა, მიშა“. ფილმი ამაღელვებლად მოგვითხრობს „კლდის ვეფხვზე“ — მიხეილ ხერგიანზე.

პრემირებულთა შორის არის თბილისის უნივერსიტეტის პრობლემური ფიზიკის ლაბორატორიის გამგე შოთა მირიანაშვილი ფილმით — „ქართველი მთამსვლელები იაპონიაში“.

კონკურსზე საუკეთესო დიაპოზიტივები წარმოადგინეს გივი სოხაშვილმა, ომარ ერქომაიშვილმა და პავლე სეკაჩოვმა.

ცოტა ხნის წინათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების საგამოფენო დარბაზში გაიმართა ფოტოგამოფენა კონკურსი „მთები და ადამიანები“, რომელიც გახსნა მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ოთარ გიგინეიშვილმა.

„დიდი პრიზი“ დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის, ლენინგრადელი ერიკ პეტროვის ფოტონამუშევრებმა — „ყინულთა სამეფოში“, „უშბის ყინულოვანი სამკაული“, „უშბის უნაგირა,“ „ყინულოვან ფერდობზე“.

პირველი პრემია მიენიჭა შოთა მირიანაშვილის ფოტონამუშევრებს „უშბა“, „სოფელი უშგული“, „ქართველი მთამსვლელები შვეიცარიაში“.

პოლონელმა მთამსვლელმა ქალმა ევა აბგაროვიჩმა კონკურსზე წარმოადგინა ფოტონამუშევრები „ალექსანდრა ჯაფარიძის პორტრეტი“, „შესვენება“, „შავი და თეთრი“, რომელთაც პირველი პრემია მიეკუთვნათ.

პრემიები მიენიჭათ აგრეთვე თბილისელი დავით სიმონიშვილის, ჩელიაბინსკელი ვლადიმერ ჟირგალოვის, ლენინგრადელი იური სოკოლოვის და შარშანდელი კონკურსის დიდი პრიზის მფლობელების, ბულგარელ ალა და კონსტანტინე კოსტოვების ფოტონამუშევრებს.

კონკურსის ჟიურიმ მოიწონა მთამსვლელების — პირიბე გვარლიანის, ვალერიან გაბელაშვილისა და ალექსანდრე ფხაკაძის. შაღვა მარგიანისა და გიორგი ზუმბაძის, თეიმურაზ ახალკაცისა და გიორგი მინდიაშვილის, ტარიელ ყორბესაშვილის და ირაკლი გელდიაშვილის, ლია გაბუნიას ფოტონამუშევრები.

ამ გამოფენას, რომლის კეთილშობილი მიზანია ქართული ალპინიზმის პოპულარობა და სხვადასხვა ეროვნების მთამსვლელთა შორის მეგობრობის განმტკიცება, ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს.

ჯუმბერ ჯიქიძე

მ ი ნ ა წ ე რ ი:

ასეთი კონკურსი უკვე მესამედ მოეწყო და ეს საქმე კარგ ტრადიციად დამკვიდრდა.

„სამშობლოს“ ბევრ მკითხველს ალბათ უყვარს მთა, უყვარს თავისუფალ დროს ფოტოაპარატით გასეირნება, მთის დიდებული პეიზაჟების აღბეჭდვა.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია სთხოვს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებს მიიღონ მონაწილეობა კონკურსში — „მთები და ადამიანები“.

საკონკურსოდ შეიძლება გამოიგზავნოს:

1. ფოტოსურათი (ფერადი ან შავთეთრი), ზომით — 30X40 და მისი ფოტოპირი (3 ცალი) ზომით 18X24 სმ. ფოტოსურათს უნდა ჰქონდეს სახელწოდება.

2. კინოფილმი არაუმეტეს ორი ნაწილისა (20 წუთამდე), როგორც შავთეთრი, ისე ფერადი. ფირის ზომას მნიშვნელობა არა აქვს.

3. ფერადი დიაპოზიტივები.

გარდა არსებული პრემიებისა, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ნამუშევრებზე დამატებით დაწესდება სპეციალური პრიზი და ჭილდოები.

ამიერიდან ასეთი კონკურსი გაიმართება ყოველწლიურად. გაისის კონკურსის მასალები უნდა გამოიგზავნოს 1970 წლის 31 დეკემბრამდე, მისამართით: თბილისი, ათონელის ქუჩა № 25. უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება.

„ივერიაში“







„ივერიის“ ამერიკელი სტუმრები — რუთ და ფედერიკ ებზუტეინები. იაპონელი პროფესორი ხიროსი ივანაგა.



სურათებზე: ამერიკელი ქალიშვილები ამეი მილერი და მარგარიტ მაკკეი.

ინგლისელი ტურისტები ოდრი და ერიკ ოსლერები.

ვაღალია და ჰაეროვანი. ყოველ წვრილმანში იგრძნობა იმ ადამიანთა გემოვნება, ამ ვესტიბულებსა და სართულებს რომ ამენებდნენ, აშენებდნენ და შიგ ქართულ სულს აქსოვდნენ. შენობის კედლებს ქართული ჭედურობის ნიმუშები ამშვენებს, კაფე-რესტორნებს ეროვნული სამზარეულოსათვის დამახასიათებელი მოხატულობა, ირგვლივ ყველაფერი ისეთია, შინაურობისა და სიმყუდროვის განწყობილებას რომ ქმნის.

კეთილი მასპინძელია სასტუმრო „ივერია“.

დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოდიან აქ, ეცნობიან ქართველი ერის წარსულსა და აწმყოს, კულტურასა და ხელოვნებას. მერე მიდიან სამშობლოში კმაყოფილნი, მიდიან როგორც ქართველი ხალხის მეგობრები და კვლავ ჩამოსვლაზე ოცნებობენ.

— ბევრი წაგვიკითხავს საქართველოს შესახებ, მართლაც რომ სამოთხე ყოფილა—ამბობენ ინგლისელი ცოლ-ქმარი ოდრი და ერიკ ოსლერები. — თბილისი დიდებული ქალაქია. საათობით ვუცქერით დამით „ივერიიდან“ გადაშლილ პანორამას, გაჩახჩახებულ მეტეხსა და ნარიყალას. თქვენ ძალიან უფრთხილდებით ისტორიულ ძეგლებს, რომლებითაც ასე მდიდარია საქართველო. ვისურვებდით, რომ ყველა ინგლისელი ჩამოსულიყო და გასცნობოდა ამ მხარეს. გვჯერა, ისინიც ჩვენსავით დალოცავენ საქართველოს.

კარგი მოსაუბრენი აღმოჩნდნენ ცოლ-ქმარი რუთ და ფედერიკ ებზუტეინები, სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ქალაქ დევენპორტის მკვიდრნი. მშობლიურ ქალაქში ისინი რადიოსადგურს ფლობენ, მსმენელებს აცნობენ ახალ ამბებს, გადასცემენ კლასიკურ და საესტრადო მუსიკას.

— ჩვენი ერთად ცხოვრების ოცდახუთი წლის მანძილზე — თქვა ბატონმა ებზუტეინმა—ხშირად გვიმოგზაურია. ბევრი ქვეყანა მოგვწონებია, მაგრამ ასეთი მხარე, ასეთი ხალხი, სიცოცხლითა და ენთუზიაზმით სავსე, იშვიათად გვინახავს. აქ ყველაფერი მოგვწონს, ქართველები და, ასე გასინჯეთ, თქვენთან ჩამოსული სტუმრებიც, რომლებიც საქართველოს მიმართ მყისვე კეთილად განეწყვნენ ხოლმე. აი მეც ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ძალიან მინდა თქვენთვის რაღაც კარგი გავაკეთო. ამერიკელ რადიომსმენელებს მოვუთხრობ საქართველოზე, ვეტყვი, რომ ეს მხარე ბუნებამ უხვად დაჯილდოვა, რომ აქ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა რჩეულები ბევრგან არიან ცნობილი. ამერიკელებს უთუოდ მოვუთხრობ თქვენს შესანიშნავ სტუმარ-მასპინძლობაზე, ქართული სუფრის უხსა და ლაზათზე, რომელიც არასდროს დაგვავიწყდება.

„ივერიას“ ამ დღეებში იაპონელი სტუმარიც ჰყავდა—ტოკიოს ხოსეის უნივერსიტეტის პროფესორი ხიროსი ივანაგა. იგი ქრისტიანობის ისტორიის საკითხებს იკვლევს და, როგორც გვითხრა, საქართველოს მისი ნაშრომის ერთ-ერთი თავი მიეძღვნება—მე მაინტერესებს აქაური ისტორია და გეოგრაფია, ეკონომიკის განვითარება და ეროვნული კულტურა, რაც ასე შესანიშნავად ჩანს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიო, თქვა უცხოელმა ისტორიკოსმა.

ამერიკელ ქალიშვილებს ამეი მილერს და მარგარიტ მაკკეის ახლახან აუსრულდათ ბავშვობისდროინდელი ოცნება—მეგობრები საქართველოში მოგზაურობენ.

ამეი: — ახლა ვიცი, რატომ გახდა საქართველო პუშკინისა და ლერმონტოვის პოეტური შთაგონების წყარო, ან რატომ იყო ასე ლამაზი ნინო ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის სიყვარული.

მარგარიტა: — საოცრად თბილი ხალხი ცხოვრობს აქ. ყველგან, სადაც მოვხვედრებათ და როგორც მოვხვრებათ, ისე მღერიან ქართველები. ძალიან გვინდოდა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლის კონცერტი გვენახა, მაგრამ იგი დღენიადაგ გასტროლებზე ყოფილა და ახლა ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მის სტუმრობას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამეი: — ჩემი საყვარელი საქმე მწერლობაა. ვარ რამდენიმე ნოველის ავტორი, გამიმართლებს თუ არა იმედს ჩემი გატაცება, არ ვიცი. მაგრამ ნეტავ დამაწერინა საქართველოზე, ეს თემა უთუოდ მომიტანდა წარმატებას.

მარგარიტა: — რა აქვთ საერთო ქართველებს და ბასკებს? ალბათ, ამ საკითხის გამოკვლევაზე დავიწყებ მალე მუშაობას და მიხარია, რომ საქართველოში კიდევ ბევრჯერ ჩამოვალ. რა თქმა უნდა, „ივერიაში“ ვიცხოვრებ. აქაურობას საკუთარი სახლივით შევეჩვიე.

მერე ქალიშვილებმა ილაპარაკეს თუ როგორ ცხოვრობენ „ივერიაში“ ქართველები და რუსები, ინგლისელები და ამერიკელები, ფრანგები და ესპანელები, ავსტრალიელები და არგენტინელები... როგორ ეგებებიან ისინი განთიადს ამ მშიერ ქვეყანაში და აღტაცებულნი უამბობენ ერთმანეთს საქართველოში ნანახსა და განცდილს.

გულუხვი მასპინძელია „ივერია“. ოცდაორ სართულზე განლაგებულ ოთხას სამოცდაათ ნომერში ყოველთვის ხალხმრავლობაა. იქნებ ეს მისი მოხერხებული ადგილმდებარეობისა და სიმაღლის გამოა, აქედან ხომ ხელისგულივით მოჩანს მთელი თბილისი; იქნებ კეთილმოწყობილი, მყუდრო ოთახები იზიდავს სტუმარს, ან იქნებ—აქაური მომსახურება, გულღია, მადლიანი, ხელგაშლილი ქართული სტუმართმოყვარეობა...

ლაშა გარეჯელი

ქართული სამზარეულო

მაწვნის შეჭამადი

ორ ჩაის ჭიქა მაწონში ალესეთ ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, შემდეგ თანდათანობით შეურიეთ ერთი ჩაის ჭიქა წყალი, თან განუწყვეტლივ თქვიფეთ. ორი თავი ხახვი დაჭერით წვრილად, ჩაყარეთ ქვაბში, მოაყარეთ მარილი, დაუმატეთ 50 გრამი კარაქი, შეშეთ ათ წუთს. მერე მასში ჩაასხით გამზადებული მაწონი. ხუთმეტი წუთის დუღილის შემდეგ თანდათანობით დაუმატეთ გათქვეფილი ორი კვერცხი, თან ურიეთ. როცა კვერცხი მოიხარშება, კერძი მზად არის. მზა კერძს სუფრაზე მიტანისას შეგიძლიათ ჩაუმატოთ წვრილად დაჭრილი ქინძი, პიტნა, ტარხუნა.

მაწვნის შეჭამადი შეიძლება მომზადდეს აგრეთვე ბრინჯით: სამი თავი ხახვი დაჭერით ძალიან წვრილად, ჩაყარეთ ქვაბში, დაუმატეთ 50 გრამი კარაქი და მოხრაკეთ. შემდეგ ჩაყარეთ ერთი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, მოურიეთ და განაგრძეთ ხრაკვა ხუთ წუთს. ორ ჩაის ჭიქა მაწონს შეურიეთ, ორი ჩაის ჭიქა წყალი, კარგად გათქვიფეთ, დაასხით თანდათანობით მოხრაკულ ხახვს და თან ურიეთ. შემდეგ ჩაყარეთ წინასწარ მოხარშული ბრინჯი (3-4 სუფრის კოვზი) და ხარშეთ 15 წუთს. შეაზავეთ მარილით და 1-2 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან. შეგრილებულ ცოტა წვენში თანდათანობით შეურიეთ გახსნილი ორი-სამი კვერცხის გული და, თუ გსურთ, ჩაყარეთ წვრილად დაჭრილი სასურველი მწვანილი (ნედლი ან გამხმარი).

დაგეძებენ, მოგელიან

გრიშა ტრიფონის ძე ხვადაგიანს,

დაბადებულს 1917 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ზოგითში, ეძებენ დედა — **ნინო**, შვილი — **ვალოდია**, ძმები — **სერგო, გივი, გელა, ელგუჯა ხვადაგიანები**, მცხოვრებნი თბილისში, ივერიის ქუჩა № 9.

აპოლონ ვასილის ძე კირვალიძეს,

დაბადებულს 1923 წელს თბილისში, ეძებენ დედა — **ევდოკია**, ძმები—**ილია და შოთა კირვალიძეები**, მცხოვრებნი თბილისში, ქუთაისის ქუჩა № 14.

ალექსი (ალიოშა) სევერიანეს ძე რუხუას,

დაბადებულს 1921 წელს აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში, ეძებენ მამა — **სევერიან მალაქიას ძე რუხუა**, დები — **ნატო, ლუბა, ვალია, თამარი, ტატიანა, ჭსენია**, მცხოვრებნი აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში.

მამია ვლადიმერის ძე ვადაჭკორიას,

დაბადებულს 1922 წელს ლანჩხუთში (ლამისელის უბანი), ეძებენ მამა — **ვლადიმერი**, დედა — **გალინა**, ძმა — **უჩა ვადაჭკორიები**, მცხოვრებნი ლანჩხუთში, ბარათაშვილის ქუჩა № 22.

გრიგოლ ერასტის ძე ბრეგაძეს,

დაბადებულს 1919 წელს ქუთაისში, ეძებს და — **მარგალიტა ბრეგაძე-მაჩაიძე**, მცხოვრები ქალაქ ბათუმში, ბესიკის ქუჩა № 34.

ლეონტი თედოს ძე ჭანტურიას,

დაბადებულს 1901 წელს ქუთაისის რაიონის (ახლა თერჯოლის რაიონი) სოფელ ზედა სიმონეთში, ეძებენ დედა — **ვარვარა**, შვილები — **ოლია და ნოდარ ჭანტურიები**, მცხოვრებნი თბილისში, გორკის ქუჩა № 33.

რედაქტორი

ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

შცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66188

ფასი 5 კაპ.